მ. ჯანაშვილი

# თამარ-მეფე
და
# მისი ისტორიკოსები



მ. ჯანაშვილი

ღამის ბუკი

და

ბის ისტორიისა.

30469

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гриш...швили
Академия [illegible]

მოწ. = 13046.
N II, III, IV, VI.

# თამარ მეფე

## და

## მისნი ისტორიკოსნი

I. სამეფოს ძლიერება და მიჯნები. არასდროს საქართველო ისე ამაღლებული და გაძლიერებული არ ყოფილა, როგორც თამარ მეფის ჟამს. „ისპაანს დავსდევ ბეგარა, სტამბოლს ხარჯი ავიღეო“, ეთქმოდა მხოლოდ თამარ მეფეს.

მართალია, თამარი სტამბოლამდის ვერ მისწვდა, გარნა კეისარს, როგორც მოწმობენ თვით ბერძნული წყაროები და აგრეთვე ქართლის ცხოვრებაც, ჩამოართო ტრაპეზუნტი და მისი მიდამოები პონტოს ზღვის პირად და აქ დასო თავისი ხელადი კაცი, რომელიც ტრაპეზუნტს გაიმპერატორდა. რომ თამარს ეხარკა სპარსეთი, ამას, ზეპირგადმოცემასა და ქართლის ცხოვრებას გარდა, მოწმობს შავთელიც თავის „აბდულმესიანში“.*) იგი ამბობს (შავთ., ტ. 35): „ხარ კეისარი, ხარკე, ის არი სიმდიდრით ლაღი, ჯიმშედს (სპარსეთს) მფლობელი“. დავით აღმაშენებელს არა თუ სპარსეთი არ დაეხარკა, რახსაც არ გასცილებოდა, სპარსნი სპარსეთს თამარივით არ შეემუსრა.

---

*) პროფ. მარი თავის შრომაში—Тексты и разысканія по Армяно-Грузинской филологіи, IV (Спб, 1902),—ამტკიცებს, რომ იოანე შავთელი იყო თანამედროვე დავით აღმაშენებლისა და მისი პოემა შესხმაა დავით აღმაშენებლისა და არა თამარ მეფისა. კარგი იქმნება, რომ ბ. მარმა ანგარიში გაუწიოს ჩვენის ავტორის მოსაზრებათაც და გაარჩიოს ეს მოსაზრებანი. რედ.

თამარი არა თუ სპარსეთის მძლეველი იყო, არამედ შუამდინარემდის და დამასკომდის ზარს სცემდა. ძლიერმა სალადინ სულთანმა (1171 — 1193 წ.) იერუსილიმიდგან გაიტაცა მაცხოვრის ხატი. თამარმა, იბნ-შედდანის მოწმობით, ამ ხატში შეაძლია სულთანს 200,000 დინარი და სთხოვა დაებრუნებინა ქართველებისათვის მათი სავანეები, იერუსალიმისა. დამასკოს სულთანთან ზავი დასდო და ამის შემდეგ, თანამედროვე კირაკოსის თქმით, ურჯულო სულთნები მოწყალედ ეპყრობოდნენ მათს ქვეშევრდომებს, განსაკუთრებით კი ქართველებს, რომელნიც იქაურს ქალაქებში ბაჟ-გადაუხდელად შედიოდნენ; მეტადრე დიდად პატივსცემდნენ ქართველებს იერუსალიმში. თამარის მეოხებითო, დასძენს იგივე მწერალი, მშვიდობა და მეგობრობა დამყარდა საქართველოსა და სულთანთა სამთავროებ შორის.

დამასკო ძველის არამის მომიჯნავე ქალაქია. და შავთელი სრულიად მართალია, როდესაც ამბობს:

ქველად ჰერითა (რს),
რისხვით ჰერითა (რს
ელი ამ ოსით
ეს რომ არამით.

რომი ანუ რუმი ეწოდებოდა იკონიის სასულთნოს. ბარონ ტორნაუს ისტორიულ ატლასით (ტაბულა VIII) 1202—1291 წლებში საქართველოს მომიჯნავე სახელმწიფოები იყო: ა) ტრაპიზუნტის იმპერია (ზღვის პირი სინოპიდგან გონიამდის), ბ) რუმი (იკონიის სასულთნო ხმელთაშუა ზღვითგან ჭოროხის სათავემდის), გ) სალადინის სამეფო (ეგვიპტიდგან ევფრატტიგროსის შუაწელამდე), დ) ბაღდადის სახალიფო (შუამდინარეში), ე) ქურთისტანი (ბაღდადის სახალიფოდგან ვანის ტბამდე), ვ) სასულთნო ხლატისა ანუ ხელატისა (ტიგროს-ევფრატისა და არეზის სათავეებში ყარსამდე), ზ) ადრიბეჟანი (მომიჯნავედ ქურთისტანისა, ხელატისა და საქართველოსი მტკვრის შე

სართავამდე და ჱ) ერაყი (ადრიბეჟანის აღმოსავლეთ-სამხრეთით). თვით საქართველოს იმავე ავქსონის ჩვენებით უჭერია მეტად დიდი სივრცე კავკასიონის მთებიდგან ჭოროხამდე და არეზის სამხრეთის მიჯნამდე. ამავე მიჯნებს თითქმის შეუცვლელად აღნიშნავს ქართლის ცხოვრებაც (გვ. 283), როდესაც ამბობს, თამარმა იპყრაო „ზღვით პონტოსით ზღვადმდე გურგანისა (გურგანის ზღვად იწოდებოდა კასპიის ზღვის სამხრეთი ნაწილი) და სპერითგან (ჭოროხითგან) დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერნი და ამერნი, ხაზარეთამდი და სკვითთადმი“.

აი, სადამდის გასწვდა ძლიერება თამარ მეფისა, აი, სად და სად ფრიალებდა ქართველთ დროშა თამარ წმინდის მპყრობელობის ჟამს, იმ თამარისა, რომელიც ყოველს საქმეს იქმოდაო, ვითარ „მოჰბერვიდა სული“ (წმიდა).

თამარი დიდი ხელმწიფე იყო. სიგელ-გუჯრებში იგი „ღვთისა სწორად“ იხსენიების, მატიანე მას სთვლის „სიმაღლე შეუსწორებლად“, შავთელით იგია „ციერთ უმაღლე“ და მას „მთა ვერად სწორავს არარატისა“, „თამარიანით“ იგია „სიმაღლით ცებრი“, თვითონ თავისთავს სთვლის „მეფედ აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელად“.

ეს ცოტაა კიდევ. არასდროს არ ყოფილა, რომ ქართველი ლაშქარი შებმოდეს თვით ხალიფას ჯარს, შეემუსროს მისი ძალა, მის ქვეშევრდომ მაჰმადიანთაგან ხარკი აეღოს. „ხალიფამან წარმოავლინა მოციქული და დიდნი მრავალფერნი სამეფონი ძღვენნი წარმოგზავნნა და დიდითა სიმდაბლითა შემოეხვეწა თამარს, რათა აღიღოს ხარკი და დააცადოს რბევა“ (ქ. ცხ., გვ. 318).

„აღმისრულებიეს თხოვა შენიო,—უპასუხა თამარმა ხალიფას,—რომელთაცა ინებონ მშვიდობა თავთა თვისთა, მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა და მათდა მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება ვედრებისათვის შენისა“ (იქვე).

ამასვე ღაღადებენ

ა) შავთელი (ტ. 16).

ა ხალიფასი
ახალი ფასი
მრავლად მოერთმის
თავთა მონებად.

) „თამარიანი“ (ტ. 73)

ურჩთა კლვად მკოდი,
სულტანთა მგოდი,
ხალიფას სვისა
ჯვარითა მშლელი.

გ) ქართლის ცხოვრება (გვ. 310)

ხალიფას დროშას
და თანავე მანიაკსა
შევრთე ცრუ სჯულთა მოძღვრისა
ლაზოდ მძღვანი,
რომელი დავით, მეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა-რა
სულტნითა ჳთაბაგი.

ყველა ამ უნახაობით განცვიფრებულნი მგოსნები და მემატიანე მიჰმართვენ თამარს:

ა) შავთელი (ტ. 3):

ძე ადამისი
მსგავსად ამისი
ვისცა ეხილვონ,
მამცნონ, სად არი?
ღმერთმან სამოთხით
მოგვცა სა(ა)მოთ ხით

ეთერ ბრწყინვალე
მზეებრ სადარი;
აღმოსავლეთით
და დასავლეთით,
სამხრით ჩრდილომდის
ჰპოონ, სად არი
ზესკნელს ქვესკნელით
და გარესკნელით
უკანასკნელით
უფსკრულ სადარი?

და კიდევ (ტ. 95).

ქრისტეს სასძლოსა*)
ვინმცა ასძლოსა,
—განმწმენდით ქმნულსა,
გაბრწყინვებულსა—
თვით მას ედემსა,
ნათლად მიმდემსა,
პირველვე შენთვის
სახლად გებულსა,
სასუფეველსა
ყოვლად ცხოველსა,

*) ჩვენ არ ვიცით არც ერთი თხზულება, რომ ქრისტეს სასძლოდ არ იწოდებოდეს ქალი და ქრისტეს მხედრად ვაჟი (მამაკაცი). თვით შავთელი თამარს იხსენიებს ქრისტეს სასძლოდ, ხოლო დავით სოსლანს ქრისტეს მხედრად: „ქრისტეს მხედარსა, მხნე, ახოვანსა და სხ. (ტ. 76). მეფე-ქალიც შეიძლება იწოდებოდეს მხედრად, ხოლო მეფე-მამაკაცი მუდამ იწოდება მხედრად და არა სასძლოდ. ამას გარდა, თვით შავთელი პირდაპირ აცხადებს, რომ იგი აქებ-ადიდებს თამარ მეფეს და არა დავით აღმაშენებელს: (ტ. 2) თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა; (ტ. 11) თამარ მეფესა... (ტ. 53) სიბრძნისა ზღვასა თამარ პირმზოსა. იგივე იხსენიებს ომებს, რომელიც გადაიხადა თამარმა, იხსენიებს ოსს დავითს და სხ. „აბდულ-მესიანი“ არის „ქრისტეს შემდეგის“ (თამარ მეფის) ისტორია და მისი ქება.

საფუფუნებლად
თქვენთვის დასხმულსა!

ბ) „თამარიანი“ (ტ. 109, 112)

შენსა სადარსა
შენსასა დარსა
ვერა ვჰრეტ ცხადად
და ხსოვნებარად...
რა სთქვას ანელმან
დღეს მუსურმანთა
მოსანთჲებარე?
აგარის ერთა
სალმობიერთა
სხვამცა ვინ იყოს
სრვად შემძლებარე?

გ) ქართ. ცხოვრება (გვ. 277, 283):

დაიპყრნეს კიდენი ქვეყნისანი
და მეფობდეს იგი ზღვითი ზღვამდე
და მდინარითგან კიდემდე სოფლისათ.
არა სადა ვის უხილავს,
თვინიერ ამისსა, ესე ვითარსა
უვნებელობასა და ურიცხველობასა
შინა უვნებლად და მშვიდობით
დაპყრობა საზღვართა მამაპაპურთა.

**II თამარ მეფის მეხოტბენი.** იოანე შავთელი ჩვენ მიგვაჩნია ჩახრუხაძედ („შავთელი“ მას დაერქმეოდა შავს მთაზედ მოღვაწეობის გამო), ხოლო „თამარიანის“ შემთხვზელი, ჩვენის აზრით, არის იგივე „ვეფხისტყაოსნის“ ავქსონი, შოთა რუსთაველი (მესხი). რაზედ ვამყარებთ ჩვენს აზრს?

„თამარიანის“ ავქსონი შენიშნავს, თამარი ექო ჩახრუხაძესო (მოხევეს). ამგვარი სასაქებო თამარისა „თამარიანის“ წი-

ნად, შავთელს გარდა, არავის დაუწერია, ანუ, უკეთ ვთქვათ, არა სჩანს მაინც, რომ ვისმე დაეწეროს, და ჩვენამდე მოღწევით ხომ „აბდულმესიანსა" და „თამარიანს" შორის დაწერილს თხზულებას არ მოუღწევია. მაშასადამე, თუ ვისმე ექო თამარი მანამდე, ექო მხოლოდ შავთელს, რომელიც შოთას თქმით და ქართლის ცხოვრების მოწმობით სანაქებო ლექსების დამწერად ითვლებოდა. და, მართლაც, შავთელმა პირველმა შემოიღო ჩვენში „ჩახრუხაულით" ლექსაობა და თუ ეს შავთელი არ იყო თვით ჩახრუხაძე, რატომ მის შემოღებულს ლექსთწყობას არ დაარქვეს „შავთელური" ანუ მაგვარი სახელი და მისი ნაოფლარ-ნამესვეური რად ჩასთვალეს სხვისად, მის მომდევნო ავქსონისად, ამ შემთხვევაში „ჩახრუხაძისად"?

ვიმეორებთ, ჩვენით, შავთელი ჩახრუხაძეა,*) „თამარიანის" დამწერი კი — შოთა რუსთაველი. თუ ჩახრუხაძე შავთელი არ ყოფილიყო ან-და მისი დაწერილი ყოფილიყო „თამარიანი", „ვეფხისტყაოსნის" ბოლოს შოთა ამასაც მოიხსენებდა სხვა მწერლებთან ერთად.

„ამირან დარეჯანისძე"
მოსეს უქია ხონელსა,
„აბდულმესია" — შავთელსა,
ლექსი მას უქეს რომელსა,
„დილარგეთ" — სარგის თმოგველსა,
მას ენა დაუშრომელსა,
„ტარიელ" — მისსა რუსთველსა,
მისთვის ცრემლ შეუშრომელსა.

*) ჩახრუხი მგალობელს ფრინველს ეწოდება. შეიძლება, შავთელის გვარი არც კი ყოფილიყო ჩახრუხაძე და ესრეთი წოდება მიეჩემა მას ნართაულად, როგორც მგალობელს, მგოსანს. იმედია, ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მთიულეთ-ხეველი თანამშრომელნი მოიკითხავენ, დღემდის ხომ არ შენახულა გვარი ჩახრუხაძე.

თუ ჩახრუხაძე შავთელი არ ყოფილიყო ან-და ჩახრუხაძე „თამარიანის“ ავტორი ყოფილიყო, რუსთაველი მოახერხებდა, რომ ამ სიაში იგიც ჩაერთო.

ასრეთს აზრს ჩვენ კარგა ხანია დავადექით და ჩვენს წიგნში „Царица Тамара“ თინათინის გამეფება თამარის გამეფებად ჩავთვალეთ.

„თამარიანის“ დამწერი, ჩვენით, შოთა რუსთაველი, ამბობს: მოხევეს ჩახრუხაძეს (=ი. შავთელს) ექო თამარი და მე, რომელმაც უკვე ხოტბით გავლექსე იმავე მეფის გამეფება მეფობა; ახლა უნდა ვაქო მისი სიმეტყე თინათინი, მაგრამ არა ის თინათინი, რომელიც „არაბეთს“ იყო სულადიანი, არამედ ეს თინათინი, თამარ მეფე, როდესაც იგი იყო:

ჯერეთ ყმაწვილი,
წმინდათ ნაწილი,
სამოთხის ვარდი,
პირად მზიანი.

„ჯერეთ ყმაწვილი“ თამარ მეფე არავის შეუქია შოთა რუსთაველს გარდა: მისი „ვეფხისტყაოსანი“ იწყება ჯერეთ ყმაწვილის „თინათინის“ მეფედ კურთხევით და თავდება მის დაქორწინებით. მეფობა ამ თინათინისა (თამარისა) მას გალექსილი აქვს „თამარიანში“ და მასშივე წარმოუდგენია მოკლე გეგმა „ვეფხისტყაოსნისა.“

III გამეფება თამარ მეფისა. თამარი იყო ასული გიორგი III-ისა და ბურდუხანისა. ეს ბურდუხანი ოსეთის მეფის ხუდდანის ქალი იყო. ბურდუხანი ცოლად მოჰგვარა გიორგის მისმა მამამ აღმაშენებლის ძემ დიმიტრიმ (1125—1155). „მისებრი სძალი არა ეხილვა ქართლის თემსაო, შენიშნავს მემატიანე; შვენებით მზეთა მზე იყოო, მის ქებად ესეც საკმარისიაო, რომ შეიქმნა „დედად შვილისა ნათელ შემოსილისა, თვით ვახტანგ გორგასლის ადგილის აღმავსებელისა აღმოსავლეთისა, და დასავლეთის მპყრობელის თამარ მეფისა“. სიბრძნით, სიტურფით,

გონიერებით და შვენიერებით ბურდუხანი განთქმული იყოო. მამა თამარისა გიორგი აგრეთვე ფრიად ახოვანი, ბრძენი კაცი იყო. თავის სიკვდილის ხუთის წლის წინად გიორგიმ მეფედ აკურთხა (1179 წელს) თავისი ასული თამარი; მის დასალოცად და დასაგვირგვინებლად მან აირჩია ქართლის სოფელი ნაჭარმაგევი (აწინდელი კარალეთი), საცა იყო მეფეთა საზაფხულო სასახლე. აქ შეჰყარა კათალიკოზი, ეპისკოპოსები, ამერ-იმერნი, შვიდთავე სამეფოს ერი, ლაშქარი, აკურთხა და თავზე გვირგვინი დაადგა, დალოცეს და თაყვანისცეს მეფე თამარს.

## IV მსგავსებანი თამარისა და თინათინის გამეფებისა.

### ა) მშობელი მამა.

| თამარისა. | თინათინისა |
|---|---|
| გიორგი მეფე იყო | იყო „არაბეთს“ როსტევან, |
| სვიანი (ქ. ცხ. 275), სვე-სრუ- | მეფე ღვთისაგან სვიანი, |
| ლი (274), სვე-გამდიდრებული | მაღალი, უხვი, მდაბალი, |
| (269), სვე-დოვლათიანი (264), | ლაშქარ-მრავალი ყმიანი, |
| ამაღლებული (274, 275), უხვი | მოსამართლე და მოწყალე, |
| (265), მორჭმული (274. 268, | მორჭმული, განგებიანი, |
| 264), მოწყალე (264), განგე- | თვით მეომარი უებრო, |
| ბიანი (268), უებრო (268), | კვლავ მოუბარი წყლიანი. |
| ბრძენი (265), უკადრი (265), | |
| მხნე (266), ლაშქარ-მრავალი, | |
| სხვილ ბარკალ ყმიანი, უძლე- | |
|ველი, გაზეებული, ახოვანი, | |
| გულმაღნიტოვანი, მკლავ-აქი | |
| ლეველი, მძლეთა მძლე, უზეს- | |
| თაესი, დიდი (266—268) | |

### ბ. შვილი.

| | |
|---|---|
| გიორგი მეფეს სხვა ძე არ ესვა, | სხვა ძე არ ესვა მეფესა, |
| მარტო ოდენ ასული | მართ ოდენ მარტო ასული... |
| მისი სახელი თამარ. | მისი სახელი თინათინ. |

გ) მიზეზი გამეფებისა.

თამარი შემთხვევით გამეფდა. კანონიერი მემკვიდრე იყო მისი ბიძაშვილი დიმიტრი დავითისძე. ეს დიმიტრი ჩჩვილი ყრმა იყო, რომ მამა მოუკვდა (1155 წელს). საქართველოს გამგედ შეიქმნა დიმიტრის ბიძა გიორგი. 1177 წელს დიმიტრი უკვე მოწიფული ჭაბუკი იყო, 21 წლისა დაბადებიდგან. ბიძას შეუთვალა, აწ სამეფო დამითმეო. გიორგიმ ტახტის დათმობა არ ისურვა. დიმიტრი აღზრდილი იყო ორბელიანთა კარზე. ეს ორბელიანები იმთავითვე ბაგრატიონების მესისხლე მტრები იყვნენ და ხშირად ღალატობდნენ მეფეებსა და სამეფოს. ამის გამო თუ სხვა მიზეზით ამ ორბელიანების მომხრე დიმიტრის გამეფება სასარგებლოდ არ სცნო თამარის მშობელმა. ასტყდა ბრძოლა ძმისწულსა და ბიძას შორის. დიმიტრი დამარცხდა (1177 წელს) და გიორგიმ ტახტი დაულოცა თამარს (1179 წელს). ამას ცხად-ჰყოფენ მაშინდელი მწერლები.

ა. შავთელი (ტ. 98). ქრისტეს სასძლო, „ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ, დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდულად: აწე რისხვითა აწ ერი სხვითა გზით წარუვლინოს უკუნ-საქცევლად!“

„ისაკებრ პირმშობ კურთხევით, ნიშობ მელქისედეკებრ ლოცვით“ (ტ. 27).

დავით აღმაშენებელს არავითარი მიზეზი არ ჰქონდა, რომ პირმშობა ეშოვნა ისაკებრ კურთხევით, ვინაითგან იგი შობითვე პირმშო მემკვიდრე იყო თავის მამის გიორგი მეორისა.

ბ. „თამარიანი“ (ტ. 19): „საულს მეფობაართო, მეფობა დავითს მიჰმადლა“.

გ. „ქართლ. ცხოვრება“ (გვ. 274): გიორგი მეფემ შეჰყარა ნაზირ-ვეზირნი და მათთან გამორჩევითა და განზრახვითა და უფროსდა განგებითა ზენისა დალოცა და მეფედ აკურთხა თამარი.

დ. „ვეფხის ტყაოსანი“: როსტევან მეფემ იწვია დიდებულნი და მათთან გამორჩევითა და განზრახვით მეფედ დასო

თავისი ასული თინათინ. ამ დრომდისო, ამბობს როსტევან მეფე, ანუ

ამისად ქმნამდის დამწველი
ცეცხლი არ დამევსებოდა-ო.

და ეს „დამწველი ცეცხლი არ დაევსებოდა“ იმიტომ, რომ თამარის მეტოქედ ჰხედავდა დიმიტრის, რომელსაც ის იყო ბოლო მოუღო, რომ საკუთარი შვილი გაამეფა. თუ არა ეს გარემოება, ე. ი. დიმიტრის მეტოქეობა, მაშ რა ცეცხლი დასწვავდა ძლიერს როსტევან მეფეს? რად დაიწოდა ცეცხლით, ადგებოდა და უდრტვინველად, „ცეცხლით დაუწველად“ გაახელმწიფებდა ერთად-ერთს თავისს ასულს, მერე იმისთანას, რომელმაც „იცოდა მეფობა“.

## V. მეფედ კურთხევის მოწყობილობა:

| თამარისა | „თინათინისა“ |
|---|---|
| მოვიდნენ ნაზირ-ვეზირნი, დიდებულნი, კათოლიკოზი, ეპისკოპოსპნი, ლაშქარი, ერი, დიდნი და წვრილნი. ძვირფასს ტახტზე, თავის მარჯვენით, მეფემ დაისვა თამარი, შემოსილი ბისონითა და ზეზით, თავსა დაადგა გვირგვინი ოფაზისა, ალმკული იაკინთითა და სამარაგდოით. ერნი ლიტანიობდეს მის წინაშე მეფე გიორგიმ შეჰფიცა ერთგულობა და ერთსულობა, აკურთხა კურთხევითა აბრამიანითა და შეჰვედრა ღმერთსა თამარი, მზეთა მზე, ნათელი და ბრწყინვალება, გვირგვინი და მანიაკი ყოველ- | მოვიდნენ დიდებულნი, მოხელენი, ლაშქარი მთელის „არაბეთიდგან“. დასდგეს ტახტი ძვირფასი. და ამ ტახტზე დასაჯდენად<br>თინათინ მიჰყავს მამასა<br>პირითა მით ნათელითა;<br>დასვა და თავსა გვირგვინი<br>დაადგა თავის ხელითა,<br>მისცა სკიპტრა და შემოსა<br>მეფეთა სამოსელითა.<br>ქალი მზებრ უჭვრეტს ყოველთა<br>ცნობითა ზე-მხედველითა.<br>უკუ-სდგეს და თაყვანისცეს<br>მეფემა და მისთა სპათა.<br>დალოცეს და მეფედ დასვეს,<br>ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,<br>ბუკსა ჰკრეს და წინწილანი |

თა მეფეთა და ხელმწიფეთა,
მგალობელთა აღიმაღლეს ხმა
გვირგვინოსნობისა და მძლეედ
მფლობელობისა, ჰქრეს სპი-
ლენძ-ჭურთა, ბუკთა, ქოსთა
და წინწილათა, თაყვანისცეს,
დალოცეს და ადიდეს სპათა.

დაატკბობდეს ტკბილთა ხმათა.
მეფე სმასა და მღერასა
იქმს, მეტად მოილხინებდა,
თინათინ მზესა სწუნობდა,
მაგრამ მზე თინათინებდა.

**VI. ქმრის მოწვევა დედოფლისათვის.** ყველა მაშინდელი მწერლები შეეხებიან თამარისთვის ქმრის მოწვევისა თუ გამორჩევის ამბავსაც.

ა) შავთელი (ტ. 5, 6): დავით სოსლანი მოწვეულ იქმნა თანახმად ღვთის აღთქმისა: „შენს ნაშობს, დავით, დავსვამ ტახტზეო“.

დავით სოსლანი ბაგრატიონი იყო, ხოლო ბაგრატიონნი ურიათა მეფის დავითის შთამომავალნი „იყვნენ“ და ამიტომ იწოდებოდნენ იესიან-დავითიან-სოლომონიან პანკრატოვანად და თავიანთ ღერბზე აღნიშნავდნენ დავითის ქნარს, შურდულს, უფლის კვართს, სასწორს, ორს ლომზე დაყრდნობილს გვირგვინს და ღერბის გარეშემო აწერდნენ „დავითნის“ შემდეგს სიტყვებს (131, მ. 11): „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა, და არა შეურაცხყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“. ამასვე იმეორებს დავით სოსლანის შესახებ შავთელი:

დავითისადა, დავითისადა
ეფუცა უფალს სიტყვა მტკიცედა:
„ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი,
დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა“.
ესე (დავით სოსლანი) მისითა,
ესე (ამგვარად) მისითა
კურთხევით უფლებს
ძალთა შემწედა.*)

---

*) ზეციერ ძალთ შემწედ. „თამარიანში“ (83): „მესიას შემწედ“.

ბ) თამარიანი (ტ. 100): „ურჩთა მოგვიდებს ცითა ნაწოდებს: დავითს უწოდა მეფეთა ძებად.“ შავთელიც კვლავ იმეორებს (ტ. 79): „ძეგლად სჯულისად მართლმსაჯულისად, დავით, გიწოდა თვისად მკვიდრობა“.

ბ) ქართ. ცხოვრება (გვ. 291): იტყვის დავით: „თავად უფალმან აღმიღო და მცხო ზეთითა ცხებულისა მისისათა“. ამის ძალით და „განგებითა და ნებითა ღვთისათა“ გამეფდა დავით სოსლანი.

დივით სოსლანიო, ამბობს ქართ. ცხოვრება (გვ. 291 , იყო მოყმე ძეთაგან ეფრემისა, რომელ არიან ოვსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა. ეს დავითი აღზარდა თამარის მამიდამ, რუსუდანმა. ეს თამარის მამიდა ოვსეთს გათხოვილიყო და მის გამო დავით სოსლანი ნათესავად მოხვდებოდა რუსუდანსა და თამარს. იგი იყო ფრიად შვენიერი, ნაკვთად კარგი, ბექ-ბრტყელი, პირად ტურფა, ტანად ზომიერი, კეთილად ზრდილი და წვრთილი, მხნე და ძლიერი, რაინდობითა და მშვილდისნობით უსწორო შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ სრული, არც შინანი და არც გარეშეთნი არ იყვნენ მისებრ მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, მკვირცხლნი, მოასპარეზენი, მწიგნობარნი, არსად გამოჩენილ იყო მისებრი მოყმე. თვით თამარი მას იხსენიებს (ქ. ცხ., 310). ეფრემის ძეებრ მოიხსენებს „თამარიანშიაც“ ვკითხულობთ (ტ. 8 და 34):

„ისვრის ისარსა,
ვიტყვი, ის არსა
ეფრემის ძირთა
აღმორჩებულად“ (აღმოცენებულად).

„ვინ ეფრემს, თვისობს
სიმხნითა ისობს,
მბრძოლთა სისხლითა
ხმელთა მღებარე.“

დ) ვეფხის-ტყაოსანი. შოთა ვეფხის-ტყაოსნის თავში (ტ. 3) ჰკითხულობს: „ვის შვენის ლომსა ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა მეფისა მზის-თამარისა, ღაწვ ბალახშ, თმა გიშერისა?“ და ბოლოში (ტ. 1569) ამბობს: ავთანდილს

გამოეგებნეს „არაბნი“;
სამეფო დააშვენა მან:
ნახა მზე მისი, მირიდა
მისთა სურვილთა წყენამან,
მისთანა ტახტზედ დავესჯდა,
ალხინა მჭვრეტთა ლხენამან,
განახელმწიფა გვირგვინი
ზეცით მოსრულმან ზენამან.

მაშასადამე, ავთანდილსაც, ვითარცა დავით სოსლანს, გვირგვინი რგებია ზენაარობით, ღვთისა განგებით. ნამდვილა დაც ასრე იყო. ავთანდილს, ვითარცა დავით სოსლანსაც, უყვარდა მეფის ასული და, ვიდრე მასზე ჯვარს დაიწერდა, დავით სოსლანივით მრავალი ჭირ-ვარამი გამოსცადა. მაგრამ განვაგრძოთ.

ყველა არსებული წყაროები ვეფხისტყაოსნითურთ თამარს მზედ უწოდებენ და შოთა კი პირდაპირ ამბობს, თუ რისთვის და ვისთვის ილექსა. იგი სწერს (ტ. 1578):

ქართველთა ღვთისა დავითის,
ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავნი გავლექსე.

ქართველების ღვთისად კუთვნილ ანუ ღვთის მიერ რჩეულ დავითის (სოსლანის) ამბავი გავლექსეო, იმ დავითის, რომელსაც მზე (თამარ მეფე) მსახურებს სარებლად, ე. ი. საასპარეზოდ, სამოქმედოდ, სანავარდოდ. ქართლის ცხოვრებითაც ასრეა. დავით მეფეო, ამბობს მემატიანე (გვ. 297), მოქმედებდა და „ლაშქრობდა ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ სვე ალექსანდრიანითა“

შემდეგ შოთა განაგრძობს:

მე მათად საკამათებლად,—
ვინ არის აღმოსავლეთით
დასავლეთს ზართა მარებლად*),
ორგულთა მათთა დამწველად,
ერთგულთა დამამაგრებლად,—
დავითის ქნარი ვითა ვთქვნე
სიჩალხე, სიხაფეთანი!

დავით წინასწარმეტყველის ქნარი ვერ შესწვდებაო იმათ კამათობას (მოქმედება, მეფობას), რომელნიც აღმოსავლეთით დასავლეთს ზარს სცემდნენო, ორგულთ (მტრებს) სწვავდნენო და ერთგულთ მხარს უჭერდნენ, ამაგრებდნებო.

ამასვე ამბობენ თამარ-დავითის შესახებ სხვა წყაროებიც.

**შავთელი:** „თამარ მეფე ერთგულთ ხსნილ ჰყოფს „(ტ. 11), „ორგულთ ერნი ცუდჰყვის სახმილმან“ (12), „აგარის ერთა ცეცხლთა მომდებლად (16), ერთგულთა სიმტკიცის კვერთხი მისაყრდნობელი (63), „ორგულთა მოსწყლავ, ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად „(61).

**თამარიანი** (ტ. 76); „ერთგულთა უკლი, ურჩთა კვლად ზინდანს შემაყენალი“

VII. **ვეფხისტყაოსნის დაბოლოება.** ვეფხის ტყაოსანი თავდება ფინათინისა და ავთანდილის, ტარიელისა და ნესტანდარეჯანის დაქორწინებით. რად სწყვეტს აქ სიტყვას შოთა და რად არ ლექსავს თავის გმირების „რებასაც“, მეფობას? იმიტომ რომ უკვე გალექსა თამარ-დავითის მეფობა თავისს „თამარიანში“ და გვიჩვენა, ვითარ შეაყენა თამარმა ზინდანს ორგულნი, ვითარ გაუმაგრა ზურგი ერთგულთ, ვითარ დააბნელა შუქი მზისა თავის ცისკრობით და ვითარ განაბრწყინა სოფელი. შოთა გვეუბნება წინასიტყვაობაში;

---

*) **ზართა მარებლად: ზმად—თამარ.**

თამარს ვაქებდეთ მეფესა
სისხლისა ცრემლ-დათხეული!

ე. ი. იმ თამარს, რომელიც ქართველობამ უკვე დაიტირა, რომელიც (თამარიანი, ტ. 114, 110, 112) გაეყარა სოფელს, ზეცად წარვიდა და ურომლისოდ აღარავინ სჩანს „აგარის ერთა სრვად შემძლებარე“. ოღონდაც სათანადო იყო სისხლის ცრემლ დათხევით ექოთ განსვენებული თამარ მეფე, უებროდ განმადიდებელი და განმაბრწყინებელი შემკულის საქართველოისა

თამარის ისტორიას მემატიანე ასრე აბოლოებს (გვ. 338): „აქა დავხში **სიტყვისა წყობა** მომავალთათვის.. უმჯობესად შესატყვის შესაძლებელად სახის მეტყველებასა უაღრესისა სიტყვის პოვნით. და ამისთვის ჩვენ დუმილით პატივცემით დავიდუმოთ“.

შავთელიც დუმილით ათავებს თავის აბდულმესიანს (ტ. 108).

მარტო შოთამ არ დაიდუმა: „თამარიანში“ გალექსა ის, რასაც მოგვითხრობს თამარ მეფის შესახებ მემატიანე ანუ რაც თვითონ ენახა და მერე აუსრულა წადილი მემატიანეს, „უაღრესი სიტყვები იპოვნა“ და „სიტყვის წყობა“ „მარგალიტ წყობილად“ აქცია.

## VIII დაქორწინება თამარისა და „თინათინის“.

როგორც თინათინისა, ისე თამარის დაქორწინების ამბავი რაღაც საიდუმლოებით მოცულია.

თამარი 23 წლისა იყო, როდესაც მამამ მეფედ გამოაცხადა (1179 წელს). ამის შემდეგ მისმა მშობელმა კიდევ ხუთი წელიწადი იცოცხლა. იბადება კითხვა: რატომ ამ ბრძენმა მეფემ,—რომელსაც ამდროს თინათინის მამასავით ეთქმოდა: „მე გარდავსრულვარ, სიბერე მჭირს, დღეს არა, ხვალე მოვკვდები“,—არ იზრუნა თავისს სიცოცხლეშივე „დაებინავებინა“ თამარი, ერთად ერთი მემკვიდრე თვისი და უკვე მის მი-


1204-1291

ერვე გახელმწიფებული? ნუ თუ იგი ვერ ხედავდა, რომ მისი ასული გასათხოვრად მოწიფულიყო და მისს სიტურფეს გაეხელებინა, გაექრა მრავალნი და ზოგნიც დაებნიდა და გაერეტებინა? როგორ არ მოისაზრა, რომ საჭირო იყო თავისს ხელმწიფე ქალისთვის ამ მრავალ მოყმეთაგან აეჩინა ერთი საქმროდ და მოეწვია წინამძღოლად და სარდლად ლაშქრისა? რად სტოვებდა იგი ქალს უნუგეშოდ, უპატრონოდ და ჯარს უწინამძღვროდ?

მამის სიკვდილის წელიწადს (1184) თამარი 28 წლის ქალი იყო. მის ხელმძღვანელად და მეორე მშობლად შეიქმნა რუსუდანი. ამ დროს აიშალნენ საცა ვინ იყო გამოჩენილი სანეფოები, შინაურები თუ გარმიანელები. ყველა ესენი ისე შეეპყრო თამარის თვალთშეუდგამს სილამაზეს და ამასთანავე საქართველოში გამეფების სურვილს, რომ რეტდასხმულებს აღარც ნათესაობა აგონდებოდათ, აღარც სირცხვილი აწუხებდათ, ოღონდ სცდილობდნენ თავისი გულითადი წადილი სისრულეში მოეყვანათ. იმედით მოდიოდნენ სანეფოები და მიჯნურები შირვან დარუბანდიდგან, ოსეთიდგან, სპარს არზრუმიდგან და კოსტანტინეპლიდგან. ზოგი ამათგან თამარის სურვილით კიდეც დაბნდა და მოკვდა, ზოგმა, მაგალ., მუტაფრადინმა, დიდის ათაბაგ-სულთნის შვილმა, მეფობისა და თამარის მეუღლეობის მაგიერ საქართველოში ჰპოვა ხარჭისაგან ნაშობი ქალი, მასზე ჯვარი დასწერეს და წარვიდა.

სანეფოები გაშმაგებულ იყვნენ. თამარი კი კლდესავით იდგა. „თამარიანის“ ავტორი მიჰმართავს თამარს:

ვერვინ გიხილა:
ნახვად გიხილა
ანუ გიჭვრეტდეს
გარეტებულად.
ატევრებ თმითა,
სულისა დგმითა
ანატრებ, გნახოს,

30469

ვინ განაძლჱვად.
შენთა მოყმეთა
რა ქნან? მოძმეთა
დედა და მამა
აღარ ასმოდის:
მუნ დაიხოცნეს,
სადა ეოცნეს
ქვეყნის სახელი
არ ასმიოდის.

სჩანს, თამარს ჰყვანდა თავისა საგულო, აეჩინა თავისთვის პატრონი და ქვეყნისთვის მეფე, მაგრამ ამას ვერ ხედავდნენ ანუ, უკეთ ვსთქვათ, ამის დანახვა არ უნდოდათ მაშინდელ თავკაცებს და მიუხედავად თვისის ხელმწიფის სულის კვეთებისა, მისთვის საქმროს იწვევდნენ ყივჩალეთიდგან, მერე საბერძნეთიდგან და სხ. გარნა ყველა ესრეთი საქმროები ჩალადაც არ გამოჩნდებოდა მის წინაშე, რომელსაც გული გულისთვის აღეთქვა, ვარდს ვარდისთვის ინახავდა.

ამას ნათელს ჰფენს „თამარიანი“: შენ, თამარო, დილარგეთი ააშფოთეო (ტ. 5), რამინს უშენოდ სტკივისო, ოსანონ რეტი დაესხაო, სალას სალმობა ლხინად მიუჩანს, თუ შენი პატრონი შეიქმნაო, შატბიერი დაშვრა შენის მოლოდინითო, რუსიც კი ვინმე ქმრად გიჯდა, მაგრამ რა დარჩა მის ძვალთაგანო, ერანს მფლობელიც ნატრად გახადეო; ვიცი, შენ თავს ინახავ ლომთა თავადისთვის, ავადად თქმულისთვისო!

„თამარიანში“ დავით სოსლანი ავადად მოხსენებულია და აგრეთვე ავთანდილიც ვეფხის ტყაოსანში.

თამარიანი (ტ. 44)

ლომთა თავადად,
თქმული ავადად,
სხვაცა ვინმე სჩანს,
ხართ ნამარხევად.

ვეფხის ტყაოსანი (1222):

ესე ამბავი ავთანდილ
პირმზემან, მაგრ ავადმან,
რა მოისმინა, იმა,
სხვა არა გააცხადა მან

ავად, ოსური სიტყვაა და ნიშნავს სახლიკაცს, ზოგის გამოთქმით ავად, მეგვარტომეს. ასრეთი იყო დავით სოსლანი, ოსი, რომლის მამა და დედა ვინ იყვნენ, არავინ იცოდა და ზოგნი მას უწოდებდნენ ბაგრატიონად, დიმიტრი ბაგრატის ძის ჩამომავლად, ზოგნი ეფრემის ძედ, ებრაელ იოსების ეფრემის თესლისაგან ნაშობად. შეიძლება „ავადი“ ოსური კი არა, იყოს ქართული ავადი (ინგ. ავადმყოფი). დავით სოსლანს, ალბად, იმიტომ იწუნებდნენ ზოგიერთნი, რომ, ვითომ, იგი ყოფილიყოს ავადი.

„თამარიანის“ ავტორი ამბობს (ტ. 42, 43): „დასტირ კაენის, ეს ვით კაენის ძმის მკვლელობისა დანაშრალევად; სალას სალმობად უჩნსვე და ლმობად სხვათათვის ხელქმნა ლხინ უნახევად“. ამას იმეორებს შოთაც ვეფხის-ტყაოსანში (ტ. 1316):

მისნი ვერ გასძლნეს პატიჟნი
ვერ კაენ, ვერცა სალამან.

აქ სალად იგულისხმება გმირი როსტომიანისა, ხოლო კაენად რუსი, თამარის ქმრად ყოფილი. ქართლის ცხოვრება ამბობს (გვ. 300): „სვე-უბედური რუსი, ამის სამოთხისაგან ექსორია ქმნილი, კაენისაებრ მკვლელი არა ძმისა, არამედ თავისა თვისისა, ვერცა-ღა ნაიდსა ღირს იქმნა ყოფად.“ „დაბადებაში“ ვკითხულობთ (თ. დ., მ. ივ): „გამოვიდა კაენ პირისაგან ღვთისა და დაემკვიდრა ქვეყანასა ნაიდს წინაშე ედემისა.“ ეს რუსი კაენი კი, ექსორია ქმნილი, ვერ დადგა ვერც ყივჩაღეთს, ვერც კოსტანტინეპოლს და ვერც სხვაგან და უბრალოდ თავი დაიღუპაო.

ყველა ამას დიდი ბრძოლა უნდა დაებადა ჯერ ისევ გიორგი მეფის დროსვე და ეს ბრძოლა უნდა დანელებულიყო მხოლოდ 3—4 წლის დასასრულს რუსის მოწვევიდგან დავით სოსლანის დაქორწინებამდე 1193 წელს, როდესაც თამარი უკვე 37 წლის დედაკაცი იყო.

თუ თამარს წინ არ ეღობებოდა ძლიერის თავადების უკმეხობა, ხომ ამდენს ტანჯვასაც არ გამოივლიდა, ლომთა თავადს წინათვე მოიწვევდა და ჯვარს გადაიწერდა მასზე. სჩანს, ლომთა თავადს, „ავადად თქმულს“ (თამარიანი, ტ. 44), ბევრი მეტოქეები ჰყოლია, რომ საჭირო შექმნილა [მისთვის თავი თვისი დაეცვა, „დაემარხა“ თამარ მეფეს. ამას ცხადად აჩენს ტარიელის სიტყვები, თინათინს რომ უთხრა ქორწილის დღეს (1524).

შემიყრიხართ...,
აღარა გწვავს ცეცხლთა დება.
ქმარი შენი ძმაა ჩემი,
მწადს აგრეთვე თქვენი დება,
ორგულთა და შემცილეთა
შენთა მე ვქნა გაფლიდება!

ამ დრომდის კი „თინათინმა“ და „ავთანდილმა“ ბევრი ტანჯვა და მწუხარება გამოიარეს. ქალმა სამის წლის ვადით გაგზავნა ავთანდილი ტარიელის მოსაძებნელად და აღმოჩნდა, რომ სამი წელიწადი არ კმაროდა გულის წადილის მისაღწევად. ტარიელი თვით შეიქმნა საშემწეოდ და ვიდრე ნესტანს მოუძებნიდნენ და შერთავდნენ, მისგან შველა და მწეობა არ გამოდნებოდა.

რომ მართლაც ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყვანდათ თამარსა და დავით სოსლანს, ამას ცხად ჰყოფენ ცნობები ქართლის ცხოვრებისა, „თამარიანისა“ და სხ. ამ მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად საჭირო შეიქმნა მოკავშირეთა შეძენა.

## IX მოკავშირეთა შეძენა.

რუსი რომ ძალად შერთეს თამარს (1190 წელს), დიდი უბედურება დაატყდა თავს ოსთა ორს ბატონიშვილს. იგინი

საქართველოში მოსულიყვნენ იმ განზრახვით, რომ ეგების ერთი ჩვენთაგან ღირს გაგვხადოს თამარმა თავის მეუღლეობისაო. იმედი რომ გაუცრუვდათ და ტახტზე რუსი დაბინავდა, იგინი ოსეთისკენ გაეშურნენ, მაგრამ ერთმა მათგან ველარ მიაწია სამშობლომდე და მწუხარებისაგან ნიქოზს გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს; მეორე კი, რაღა თქმა უნდა, დავით სოსლანი, წავიდა, მაგრამ სად?

ზევით შევნიშნეთ, „თამარიანში“ შოთას შეუტანია გეგმა ვეფხის ტყაოსნისაო. ამ გეგმით სატრფო ქალი (თამარ მეფე) ავალებს საგულოს (დავით სოსლანს) წავიდეს შორად, გაიქრეს ველად, მოიაროს მაღრიბი, ხაზარეთი, ჩინნი და ხაննი.

არვისად სწორად წავიდის შორად,
ინდოეთს იყვის მისი საზღვარი:
ამოვლნის ინდნი, ხაზნი და ჩინნი,
არარად უჩნდის მას მათი ზარი;
ატალას*) მოჰყვის, ქვეყანა მოსცვის,
არვისი ჰქონდის შესაუარი;
ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც ჩაჰყვის,
ზღვის პირით ჰქროდის ტაროსით ქარი;
ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის
ფერად ფერადი მრავალი გვარი,
ჰყვანდის მოყმები, მონა, მხევლები,
თვალმარგალიტი, სუნნელ ამბარი;
წავიდის ხმელსა, ოსნთა ველსა,
მუნ, სადა მეფედ ზის კეისარი,
მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,
სრულად ეგვიპტე, არაბთა მხარი,
ამანს მივიდის, თავი იდიდის,
რა ჰხამდის, მუნცა ჰქმნის იგ ნაქნარი,
მოიქცის გარე, მომებნის მთვარე,
შიშ ჰაერ-პირი მნათობი დარი (ჯან),

*) ატალა=იტილი=ედილი რუსეთის მდინარე ვოლგა.

მოჰყვანდის ქალი, საჩემო სმალი,
მორცხვი, მორიდი, ბრძნად მოუბარი,
მოვლნის სპარსეთი; სხვა ქმნის ასეთი:
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი,
იგავნი უთხრნის, მეფენი უქნის,
მათდავე სწორად მათი ლაშქარი.

ამას გარდა

მობაღდადენი ბარდავს მოვიდის,
მახარებელი ჩვენთანა რბოდის,
ათიათასი მართ გაკვეთილი
ბიბი მოჰყვანდის, მოეზაოდის...
ქაბასა მფლობი დიდი ემირი
მას შიგან მთხრებლსა თვისად ისობდის;
მოჰმადის ხმობად მიზგითსა შესვლად
თაყვანისცემად მას შინა გცადის.

ყველა ამას ავალებს ქალი სატრფოს და ჰპირდება:

ვიცი გეწყალი: დამთქავს მე წყალი
ნოეს ნაკადი მოქცევი ღვარი;
რალა კვლავ მოჰკვდე, თუ არა მოჰკვდე,
ვამაგალითო მე ოდენ ვარი.

ყველა ეს ჩვენ მიგვაჩნია მოკლე გეგმად ვეფხისტყაოსნის იმ ნაწილისა, რომელიც შეიცავს ავთანდილისა და თინათინის გამიჯნურების ამბავს.

აქაც, როგორც „თამარიანში“, სატრფო ქალი (თინათინი) ავალებს საგულოს (ავთანდილს) წავიდეს შორად, მონახოს ტარიელი, და ჰპირდება, შენთვის დავიცავ ჩემს თავსაო.

სამსა საძებნე წელიწადსა
იგი შენი საძებარი;
ჰპოვო, მოდი გამარჯვებით,
მხიარული, მოუბარი,

ვერა ჰპოებ, დავიჯერებ,
იყო თურმე უჩინარი;
კოკობი და დაუფრჭკვნელი
ვარდი დაგხვდე დაუმჭკნარი.

„თამარიანში“ ვადა არ არის აღნიშნული, გარნა დავით სოსლანმაც სწორედ სამს წელიწადში მოახერხა რუსის დამხობა. ამას გარდა, თუმცა თინათინი არ ავალებს ავთანდილს მოკავშირეების ძებნას, გარნა ეს იგულისხმება თავის თავადაც.

ავთანდილი რომ მიდიოდა თავის მოძმის მეგობრისა და მოკავშირეს სანახავად და მიიმღეროდა, მისი სიმღერა და სიმართლე ყველას ესმოდა. და მის

მოვიდიან შესამკობლად
ქვეყნით ყოველნი სულიერნი:
ტყით—ნადირნი, წყალში—თევზნი,
ზღვით—ნიანგნი, ცათ—მფრინველნი,
ინდოთ, არაბთ, საბერძნეთით
მაშრიყნი და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი—
და მისრეთით ეგვიპტელნი (ვეფხ. ტყ. ტ. 948)

ყველა ეს ინდნი, არაბნი, ბერძენნი, რუსნი და სხ. იგივე ერნია, რომელთა მოვლა დაავალა თამარმა დავით სოსლანსაც („თამარიანი“, ტ. 56—63). ეს მრავალ მნიშვლენოვანი ტაეპი (948) ვეფხის ტყაოსანის დასურათებით გამომცემლებს გამოუტოვებიათ. რა მიზეზით, ჩვენ არ ვიცით. მე 947 ტაეპში ვკითხულობთ:

რა ეს მოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან
წყლით ქვანიცა გამოსხდიან:
ისმენდიან, გაჰკვირდიან,
რა ატირდის, ატირდიან;

იმღერს ლექსთა საბრალოთა,
ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.*)

თუ მხეცთა და ქვათ ესმოდათ მღერა ავთანდილისა, არ ვიცი, როგორ ვერ შეისმენდნენ მისს კვნესას და წუხილს ინდონი, არაბნი და სხვა მეტყველნი! პირიქით, მეტად საყურადღებოა და საგულისხმო, რომ ავთანდილის მსმენელთა შორის მოფრანგენიც არიან. რუსთაველის ნურადინ მეფე თუ ნურედინია, მცირე აზიის სულტანი, მაშინ მოფრანგენი იქნებიან აქაურივე ჯვაროსანთა სამთავროს ფრანგნი**). ნურედინი ძლიერი სულთანი იყო და მისი სასულთნო ტიგროსის მდინარემდის უწვდებოდა. 1144 წელს მან აიღო ედესა.

„თამარიანსა“ და „ვეფხის-ტყაოსანში“ საერთო კიდევ ის არის, რომ გაჭრილი, შორად წასული მოყმე ათვალიერებს მრავალს ქალაქებს და სამეფოებს, ზღვის პირს, ხან ვაჭრულად ეჩვენება ხალხს, სძებნის ქალს, მნათობს დარიას, თამარ-თინათინის სძალს (ტარიელს ძმობა აღეთქვა ავთანდილისთვის) და სხ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „თამარიანის“ დარია ჩვენ დარეჯანად მიგვაჩნია, ვინაითგან ნამდვილი ფორმა სახელის დარეჯანისა არის დარია (იხ. სვინაქსარი XI საუკ. № 222).

ჩვენ გვგონია, ავთანდილი ტარიელის საძებრად წავიდა თინათინის ნებითო. მაგრამ ვეჭობთ, რომ ეს ესრე ყოფილიყო. ავთანდილი, ვით დავით სოსლანიც, იძულებული იყო შორეულს და სახიფათო გზას გასდგომოდა. ეს სჩანს მისის „მიგზითას“ ლოცვით. ამ ლოცვაში იგი ამბობს (ტ. 791):

---

*) შეადარე (შავთელი, ტ. 11):

ტომნი და ერნი, ყრმანი და მღდელნი
ადიდებდიან შვებით და ხლდომით;
არიან მხეცნი, მთანი და ბორცვნი,
მაღნარნი, ველნი მისთვის შევრდომით.

**) მოფრანგენი და ყველა ზემო ჩამოთვლილნი ერნი თამარის ქებათა იტყოდიან (ქ. ცხ., 336), და ავთანდილსაც, რაღა თქმა უნდა, მოჰკითხავდნენ, თუ რა სწადდა, რა სტკიოდა, რისთვის მგზავრობდა.

მე სოფელმან მომაშორვა
უკეთესსა ჩემსა მზესა;
(ღმერთო), ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა
მისგან ჩემთვის დანათესსა!

ცხადია, სოფელს განუშორებია „მზისაგან" ავთანდილი და არა თვით „მზეს" (თინათინს). ამას გარდა, თვით მიგზითა გეოგრაფიული სახელი არ უნდა იყოს, არამედ გადამწერთაგან გადამახინჯებული მიზგითა, რომელიც ნიშნავს მეჩითს. მიზგითს ლოცვა ავთანდილისაგან საჭირო იქნებოდა იმისთვის, რათა დაენახვებინა მაჰმადიანთათვის, რომელთა შორის მოუხდებოდა მგზავრობა, რომ იგი პატივისმცემელია მაჰმადის სარწმუნოებისა. უამისოდ მას ძნელად შეუსმენდნენ სულთნები. „თამარიანში" ეს ცხადად გამოთქმულია. ქალი (თამარი) ეუბნება სატრფოს (დავით სოსლანს):

ქაბასა მფლობი დიდი ემირი
მას შიგან მთხრებლსა თვისად ისობდის,
მაჰმადის ხმობად მიზგითსა შესლვად
თაყვანისცემად მას შინა გცადის.

X. გამგზავრება ავთანდილისა

„თამარიანით" ქალის მოტრფიალე (დავით სოსლანი) ჯერ მივიდა თავის სამშობლოს (ხაზარეთს), მერე ნახა ხანნი, ჩინნი, წავიდა კოსტანტინეპოლისკენ, ნახა არაბთა დიდი ემირი და მიაწია ინდოეთამდე.

„ვეფხის-ტყაოსნით" ვიდრე ავდანდილი ინდოეთამდე მივიდოდა და ტარიელის ამბავს გაიგებდა,

ყოველი პირი ქვეყნისა
მოვლო, სრულად მოიარა,
ასრე რომე ცასა ქვეშე
არ დაურჩა, არ იარა,
მაგრა იგი მის ამბისა

მსმენელსაცა ვერ მიმხვდარა;
ამაშიგან წელიწადი სამი
სამს თვეს მიიყარა.

ვვ ის თთვის თავზე მან გადასწყვიტა დაბრუნება. ამ დროს იგი იდგა მაღალის მთის ზურგზე და წინ გადაშლილი ჰქონდა შვიდი დღის სავალი ვრცელი მინდორი. ამ მინდორს რომ ჩავიდა, შეხვდნენ სამნი ძმანი-მთავარნი, რომელთაც უთხრეს, ხატაელნი ვართო და

დია გვაქვს ციხე ქალაქი
ხატაეთს არე მარეთა.

ამათ შეხვედროდათ ტარიელი და ამათვე დაანახვეს ავთანდილს ცხენით მიმავალი გმირი. ავთანდილმა ტარიელი იპოვნა ქვაბებში და მან უამბო შემდეგი.

ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოველი კაცი ხართ მცნობელი. ექვსი სამეფო ეჭირა ფარსადანს და მეშვიდე მამა ჩემს სარიდანს. ფარსადანს შვილი არა ჰყვანდა და მე მზრდიდა, მაგრამ შემდეგში მიეცა ნესტან დარეჯანი. მამა მომიკვდა და მე გავმთავრდი და შევიქენ ინდოეთის ამირსპასალარი. დარეჯანი გაიზარდა, შევიყვარე, შემიყვარა, ერთგულება და ცოლქმრობა აღუთქვით ერთმანეთს. ხატაეთის მეფე რამაზ გაგვიორგულდა, ფარსადანმა გამგზავნა. დავამარცხე, დავიპყარ და ტყვედ მოვიყვანე. ფარსადანმა აპატია, დახარკა, დააბრუნა. ყველანი მე მაქებდნენ გმირობისთვის. ერთს დღეს სასახლეში მიმიხმეს. ფარსადანმა და დედოფალმა მითხრეს: ქალი უნდა გავათხოვოთ. დედოფალმა სთქვა: „ხვარაზმ-შა მეფეა მორჭმით მჯდომელი: მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდეს რომელი!?“ მეფემაც გაიმეორა: „ხვარაზმ-შა ხელმწიფე ხვარაზმელია, თუ მოგვცემს შვილსა საჩვენოდ, მისებრივ არ რომელია!“ კაცი გაგზავნეს და აცნობეს ხვარაზმშას. გაჰხარებოდა და შემოეთვალა: მაგისებრს ქალს ვეძებდითო. ხელახლა შეუთვალეს: შვილი საჩქაროდ გამოისტუმრეო. ჩემი დაშლა

ალარას არგებდა. წინდაწინვე გადაეწყვიტათ საქმე. დარეჯანმა მიმიხმო, გამიწყრა, შენც ჯდომილხარ სავაზიროდ ხვარაზმ-შას შვილის მოყვანა რომ გადასწყვიტესო. დავარწმუნე, არაო. მირჩია, ხვარაზმ-შას შვილი რომ მოვა, მოჰკალ და მამა ჩემს

ჰკადრე თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ
ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული,
არ მოვცემ არცა დრამასა,
არ დამეხსნები, გაგიხდი
ქალაქსა ვითა ტრამასა."

მეც ასრე ვქენ და განრისხებულს ფარსადანს შევუთვალე: ინდოეთის მეფედ დღეს შენა ხარ, დანარჩენნი სულ ამოწყდნენ, შემკვიდრედ ვშთები და მე მარტო, სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახდომია;

ღმერთმან არ მოგცა ყმა-შვილი,
გიზის ერთაი ქალია.
ხვარაზმ-შა დაჰსვა ხელმწიფედ,
დამრჩების რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს,
მერტყას მე ჩემი ხმალია?!

მეფე უფრო გაცეცხლდა და წაეკიდა თავის დას დავარს. ეს დავარი ქაჯეთს იყო გათხოვილი და დაქვრივების შემდეგ მამისეულს სახლშივე დაბრუნებულიყო. მეფე უჯავრდებოდა დას, ჩემის ქალისთვის ზრდილობა და კეთილობა კი არ გისწავლებია, ბოზ-კუროობაო. დავარმა ჯერ სცემა ნესტანს, დაალება და მერე ორს ქაჯს მისცა, ნავში ჩასვეს და გადაიკარგნენ. შევიტყე ეს ამბავი, მთელის რაზმით (160 კაცით) კვალს გამოვედევნე, ვიარე მთელი წელიწადი, მაგრამ ვერას გავხდი, მისი მნახავიც არსად შემხვედრია. მხლებელნი ამომიწყდნენ. ზღვის პირას გამოველ მარტო ასმათით და ორის მონით. ზღვისპირს დავდიოდი, შემხვდა მეფე ნურადინ-ფრიდონი და

თავის ქალაქ მულღაზანზარს წამიყვანა. მას წასჩხუბებოდნენ მამის ძმა და ბიძაშვილნი. მეტად აღელვებულიყო, რადგან დაეჭრათ და დიდის ლაშქრით თავს დასხმოდნენ. რომ მოჯობინდა, ვუშველე, მისი მტრები დავამარცხეთ, მარტო მე რვაოდენ ნავით შემომიტიეს, მაგრამ ნავები წყალში დავანთქი. ნურადინს იამა. ერთს დღეს სანადიროდ წავედით და ზღვის პირის ერთს წაწურვილს გორაზე რომ ავედით, "ნურედინმა მითხრა: ორმა შავმა კაცმა აქ ნავით ერთი შვენიერი ქალი მოიყვანაო, მაგრამ ვერ შევიპყარით, ისევ მალე გაჰქრნენო. ვცან, ის ქალი ნესტანი იყო, ვეძებეთ მე და ნურადინმა, გარნა ამაოდ. ფრიდონ-ნურადინს გამოვეთხოვე, მოველ ამ ქვაბებში და აქ ვიმყოფები მას აქეთ მარტო ჩემ ერთგულ ასმათთან ერთად.—

ამის გამგონე ავთანდილი ეფიცებოდა, შენი მშველელი მე ვარო. ოღონდ ეხლა წავალ და ორს თვეზედ ისევ აქ მოვალო. ტარიელმა უთხრა: „უცხოს უცხო ეგრე როგორ შემიყვარდი?“ ძმად გაიფიცნენ, აღუთქვეს ერთმანეთს შველა, ავთანდილი გადაეხვია ტარიელს, შეჯდა ცხენზე და გამოჰქუსლა, თინათინი ნახა, ისევ უკანვე დაბრუნდა, ტარიელი ქვაბებშივე დასტოვა და თვითონ წავიდა დარეჯანის საძებრად.

„თამარიანში“ პირველს დაბრუნებაზე არა არის-რა ნათქვამი; დაბრუნების მაგიერ სატრფოს მოსდის წიგნი და ატყობინებს, კიდევ სხვა ქვეყნებიც უნდა მოვიაროო. მან ნახა ხაზარეთით ხანნი, ჩინნი, მობაღდადენი ბარდავს (განჯას), დიდი ემირი, მივიდა ინდოეთს, ამოვლო კიდევ ხანნი და ჩინნი, მოჰყვა ვოლგას (ატალას), დაჰყვა ხაზარეთს, ჩაჰყვა რუსეთს და ქალს (სატრფოს) მოსწერა წიგნი: „კვლავ განვვლი ზღვანიო.“ შემდეგ

| „თამარიანით“ | „ვეფხის-ტყაოსნით“ |
|---|---|
| წავიდა იონთა ველს, სად მეფედ ზის კეისარი. მოვლო ქალაქნი, ზღვის | ავთანდილმა 70 დღე ზღვის პირს იარა, მივიდა თურქთა საზღვარზე, ფრიდონ—ნურადინის სამეფოს შე- |

ალაგნი, ეგვიპტე, არაბთა მხარე, მივიდა ამანს (იამანეთს), თავი იდიდა. დაბრუნდა, მოძებნა მთვარე შიშ ჰაერპირი მნათობი დარი. (ტ. 62).

„მოჰყვანდის ქალი, საჩემო სძალი, მორცხვი, მორიდი, ბრძნად მოუბარი“ (ტ. 63).

ვიდა, ნურადინს გამოჰკითხა, სად ენახა მენავეების მოყვანილი ქალი, გაუდგა გზას, შემოხვდნენ მობადდადენი ვაჭარნი, ეგვიპტით მომავალი ქარავანი (ტ. 1010, 1012), მათთან ზღვა გადაიარა, მივიდა გულანშაროს, ფატმანისგან გაიგო დარეჯანის ამბავი, მისი დატყვევება ქაჯებისაგან, უკანვე დაბრუნდა, ტარიელი და ფრიდონ წაიყვანა, ქაჯეთის ციხე აიღო, დარეჯანი გამოიხსნა, ტარიელს შერთო, და ყველანი წამოიყვანა არაბეთს. (ნესტან დარეჯანი სძლად ხვდებოდა ძმად გაფიცულს ავთანდილს).

## XI დაბრუნება „არაბეთს“.

ტარიელისა და დარეჯანის ქორწილი რომ გადაიხადეს ფრიდონისას, ავთანდილსა და ტარიელს შორის გაიმართა ამგვარი საუბარი.

ტარიელი. ძმაო, რა გადიხდის შენგან ჩემსა ჭირნახულსა? შენ ჩემთვის თავი დასდევ, შემეწიე. აწ მე მაქვს ნაცვლად მისისა მოხმარებისა წადება. თუ ვერა ვიქმ საწადელსა შენსა, შენთვის განზრახულსა, არ შევგრთავ თინათინს, არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა. აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რით მოგეხმარები? ვარჩევ, წავიდეთ „არაბეთს“, გავმართოთ ხლმითა საომარები, თუ შენ შენს ცოლს არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარები.

ავთანდილი. ჩემი მზე ტახტსა ზედან ზის მორჭმული ღვთისა ნებითა. მას ზედან შველა რად მინდა? რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი ზ,ნ:ნი, უმისჟამისოდ ცუდია ჩემგან მიდამო რბენანი. მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგები-

სა ზენისა*). მსურს, ინდოეთს გნახო მორჭმული, საჯდომთა ზედან მჯდომარე. **მებრძოლნი** თქვენნი **მოგესრნეს**, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე. რა გაგისრულდნენ ესენი, მაშინღა მივალ „არაბეთს“.

**ტარიელი.** მაგას არ ვიქ, ამას არ უნდა მისანი. მე შენისა გამზრდელისა უნახავად არ დავდგები. ხვალე წასვლა არ დავშალო.

**ავთანდილი.** კმა, რაცა შევცოდე როსტენსა წლეულად. კვლავ ნუ მიქ ერთგულობისა გამტეხელად, რასაცა ჰლამი, არ მოგცემს მას ღვთისა სამართალი. გამზრდელსა ჩემსა ვით ვკადრო მე საქმე სამუხთალია. მე მისთვის ხელი ვით გავძრა, ვინ ჩემთვის ფერნამკრთალია. ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედან ხმალია? ეგე საქმე მე და ჩემსა საყვარელსა შეგვამდურვებს. ვა თუ გაწყრეს, გაგულისდეს!?

ითათბირეს და გადასწყვიტეს, სამნივე გმირნი (ტარიელ, ფრიდონ და ავთანდილ) წავიდნენ „არაბეთს“ ვითარცა მეგობარნი და მთხოვნელნი ქალისა.

არაბთ მეფე როსტან გამოეგება მათ, ტარიელის წინ შორს უკუ-დგა, მას თაყვანისცა, ქვემიწამდის დაუვარდა და მოწიწებით მოახსენა: „ხელმწიფეო,

ვით ეგების, რაცა გწადდეს,
რომე კაცი არ მოგთმინდეს?!
ანუ მშურდეს, ქალი ჩემი
საკვდავად და ტყვედცა გინდეს!
გებრძანამცა სახლით თქვენით...
მე სიძესა ავთანდილის
უკეთესსა ვპოვებ ვერა...
თუ **შეგერთოს ერთი მონა**,
თქვენთვის არცა მაშინ მშურდა!
ვინმცა გკადრა შეცილება,

*) ქ. ცხ. (გვ. 291): დავით სოსლანის მეფედ არჩევისთვის „პოვეს ღონე *განგებითა* და *ნებითა* ღვთისათა“.

უშმაგოდცა ვით მოგმდურდა!
თუ ავთანდილ არ მაყვარდა,
აგრე მისთვის რად მომსურდა!
დია, ღმერთო, წინაშე ვარ,
ესე ჩემგან დადასტურდა.

თუ ჩემი ქალი შენის მონისთვის შესართავად გეთხოვნა, მაშინაც არ დავიშურებდი მასო და არ მოგიმდურებდიო გინდ „სახლით თქვენით გებრძანამცაო". არაბთა ხელმწიფემ, 80,000 მხედრის პატრონმა (ტაეპები 1543,1553), რად დაიმდაბლა თავი წინაშე სამთა გმირთა გოლიათთა? ცხადია, ავთანდილის „გაჭრამ" და მრავალთა ქვეყანათ მოვლამ საქმე სხვანაირად დაატრიალა, გოლიათების დანახვამ სამალავები მოაძებნინა ავთანდილის მეტოქეებს და ტარიელმაც, როგორც უკვე ზევით შევნიშნეთ, დაამშვიდა ქალი (თინათინი) მამაცურის სიტყვით: „ორგულთა და შემცილეთა შენთა მე ვქმნა გაფლიდება".

ვინ უნდა ყოფილიყვნენ გასაფლიდებელი კაცები?

თამარისა და დავით სოსლანის დაქორწინების მოწინააღმდეგე დასის მეთაურად უნდა ყოფილიყო აბულასანი, ის აბულასანი, რომელმაც ქართველ დიდებულებს ურჩია, თამარისთვის ქმრად მოეწვიათ რუსი.

ეს აბულასანი იყო ფრიად შეძლებული კაცი, იგი ამირობდა ქართლსა და ტფილისს. ლურჯ-მონასტრის წარწერა მას უწოდებს შვიდთა მთეულთა პატრონად და რუსთავის (ყარაიას) ამირთ-ამირად.

ამის რჩევით ტფილისიდგან კაცი გაგზავნეს ყიფჩაღს და მოიყვანეს რუსი. თამარს ძლიერ გაუკვირდა, როცა მოახსენეს, რისთვისაც მოეყვანათ. ტანადობისა და სილამაზისთვის მოგწონთ ეგ რუსიო, შეუთვალა თავადებს თამარმა, გარნა არ იცით მაგისი სულიერი მხარე, მაგისი ზნე-ჩვეულება, ჯერ შეისწავლეთ ეგ კაცი და მერე მაგის სიძეობაზე ილაპარაკეთო.

თამარი რომ კაცში სულიერს სიშვენიერეს ეძებდა, მისი ნაზირ-ვეზირნი ძლიერის აბულასანის მოთავეობით საკმაოდ

სთვლიდნენ, რომ რუსი ტანადი და შნოიანი იყო, და ძალმომრეობით ქორწინების გაჩაღება ჰსურდათ. „ესეოდენსა მძიმესა საქმესა მსუბუქად შეეხებოდნენო“, ამბობს მემატიანე, „სპილოსებრ არ განიხილავდნენ მისაყრდნობელსაო“. და ამ სპილოსებრ კაცებმა თავისი გაიტანეს: თამარს შერთეს „ვიღაც სკვითი“.

აბულასანი დავით აღმაშენებლის დროს გადმოსახლებული ყივჩაღელი უნდა ყოფილიყო ანუ ყივჩაღელის გაქრისტიანებული შვილი, იქნება აღმაშენებლის სიმამრის ათრაქა შარაგანიძის შვილის-შვილიც იყო ანუ ნათესავი. თვისის ბატონობის უმეტესად გასამტკიცებლად იგი საჭიროდ დაინახავდა თამარისთვის ქმრად დაესო ყივჩაღეთის სამეფო კარზედ აღზრდილი რუსი.

რა პირით-ღა უნდა სჩვენებოდა აბულასანი თამარს, როდესაც ეს რუსი არც ქმრად ვამოდგა, არც ხელმწიფედ და არც ჩვეულებრივ კაცად? ედგომილებოდა-ღა მას საქართველოში, როდესაც დიდის გაჭირების შემდეგ თამარ მეფემ აისრულა წადილი, გააგდო რუსი და ჯვარი დაიწერა საყვარელს კაცზედ, დავით სოსლანზედ?

არ ედგომილებოდა. აკი აღარც არის მისი ხსენება დავითის გამეფების დროიდგან. ალბად, იგი ან დაახრჩეს, ან მოჰკლეს დავით სოსლანის ბრძანებით.

აბულასანი რომ გაჰქრა, მისი ადგილი დაიჭირა მისმა შვილ გუზანმა. ეს იყო მმართველი კლარჯეთ შავშეთისა. მამის შემდეგ გაგდებულის რუსის ხელმძღვანელად ეს გუზანი შეიქმნა. ამან მოაწყო დიდი შეთქმულობა თამარის წინააღმდეგ მიიბირა არზრუმის თათრობა, კონსტანტინეპოლიდგან მოიყვანა რუსი და საქართველოს მეფედ გამოაცხადა. მას მიემხრნენ იმერნი, აფხაზნი, სვანნი, სამცხის სპასალარი ბოცო, ორბეთისა და კაენის პატრონი ორბელიანი და სხ. იმავე დროს თითქმის მთელი ქართლი გუზანისავე მომხრე მთიულებმა დაიჭირეს. ძვირად დაუჯდათ ესრეთი კადნიერება და გაბედულობა, მეტადრე გუზანს. მოწინააღმდეგენი დავითმა დაამარცხა, გუზანის ცოლშვილი ხელთ იგდო და ტფილისს წამოასხა, თვით გუზანი შეიპყრა და რადგან იცოდა, თამარი მოწყალე იყო

და ყველას აპატიებდა დანაშაულს, მისს ბრძანებას აღარ მოუცადა და მესისხლე გუზანს თვალები დასწვა (ქ. ცხ., 324). ასრე ამოიყარა ჯავრი მისთვის საზიზღარ აბულასანის ნატამალზედ. თვით სვე-უბედური რუსი, რომელსაც მემატიანე სთვლის „მე-

[illegible]

[illegible]

[illegible]

მ. [illegible]

([illegible])

# თამარ მეფე
## და
## მისნი ისტორიკოსნი

### პოლიტიკური განწყობილება საქართველოს მეზობლად მყოფ სახელმწიფოთა მე-XII საუკუნეში.

ვეფხის ტყაოსნით. „არაბეთს“ მეფობს როსტევანი, მეფე ძლიერი, 80,000 მხედრის (ცხენოსნის) პატრონი (ტ. 1543 და 1553). „ინდოეთის“ ექვსის თემის პატრონია მეფე ფარსადანი, მეშვიდესი—სარიდანი, რომლის შვილია ტარიელი. ხოვარეზმს მეფობს ხვარაზმშა, რომელსაც სპარსეთიც ექვემდებარება. **ხატაეთის** მხარეს რამაზ მეფეა, რომელსაც ამარცხებს ინდოეთის ამირსპასალარი ტარიელ სარიდანის ძე და ხარკავს. **ზღვის პირს** სამეფოა სხვა, რომელსაც ჰმართავს ნურადინ-ფრიდონი, მხნე მეომარი. ამ ნურადინ-ფრიდონს მტრებად ჰყვანან ბიძა და ბიძისძენი და ამათ სძლევს იმავე ტარიელის შემწეობით (ტ. 583 და სხ.). მისს ქალაქს ჰქვიან მულღაზანზარი. ზღვას იქით **ზღვათა სამეფოა**, სადაც ხელმწიფობს მელიქ-სურხავი (ტ. 1043). ეს სამეფო ვრცელია, თვისა ათის სავალი. მისი ქალაქი გულანშაროა, სავსე ტურფითა მრავლითა: აქა მოდის ტურფა ყველაი ზღვა-ზღვა ნავითა მავლითა (ტ. 1043). ამა ქალაქსა წესია: დღესა მას ნავროზობასა არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა

(1099). ამ სამეფოს მომიჯნავედ იყო **ქაჯეთი**. აქაურს მეფეს ცოლად ჰყვანდა დავარი, ინდოეთის მეფის ფარსადანის და· იგი რომ დაქვრივდა, ინდოეთსვე დაბრუნდა. ტარიელმა რომ თვისი უფლება და ინდოეთის ტახტის მემკვიდრეობა გამოაცხადა, მისი საყვარელი ნესტან-დარეჯან, ინდოეთის ტახტის მემკვიდრე, დავარმა ორს ქაჯს მისცა, და ამათ იგი მიიყვანეს გულანშაროს. აქ ნესტანი შეიპყრო ფატმანმა, და მისმა მეუღლემ უსენმა აქაურ მეფეს შესძლვნა საცოლედ მისის ძისა. ნესტანს ფატმანი დაეხმარა, ცხენზედ შესვა და გააპარა. ამ დროს ქაჯთა მეფე მომკვდარიყო და მეფობდა მისი და დულარდუხტი, დია:ცი ვითა კლდე და ლოდი (ტ. 1198). „ძმა მეფისაგან მას ესხნეს წვრილნი შვილნი, როსანი“ და სხ. ამათი და, გათხოვილი ზღვას იქით (გულანშაროს), მომკვდარიყო (1200). თავადმა როშაქმა შეჰყარა 100 რჩეული მონა და დააპირა, ოდეს „მეფე დისა დატირებად წავა, წაცავყვებიო“, წავიდნენ. გულანშაროს ახლოს ღამე შეხვდნენ ნესტან-დარეჯანს, შეიპყრეს და როსანის შესართავად ქაჯეთს წაიყვანეს. დულარდუხტ მეფეს ებრძანა: „როსანს შევრთავო, ხოლო ჯერ არა მცალიან ამისთვისო“. ქალი ნესტან მაღალს კოშკში ჩაესო.

ასრეთია პოლიტიკური მდგომარეობა აღმოსავლეთისა რუსთაველის მოთხრობით.

საზოგადო წყაროების ცნობითა და ქართლის ცხოვრების მოწმობით კი თამარის დროის საქართველო გაჭიმულ იყო ორ ზღვას შუა და კავკასიონსა და არეზს შორის; კავკასიონს გადაღმა იყო ოსეთი, ხაზარეთი, დარუბანდი, ამის ქვემო შარვანი, სადა მეფედ იჯდა ალსართანი, თამარის პაპიდა-შვილი, არეზსა და ჭოროხს იქით იყვნენ სელჩუკიანთ სამთავროები რუმისა (იკონიისა), ხლატისა, ეგვიპტისა (სალადინის სასულთნო), ადარბადაგანისა (სპარსეთისა არეზ-მტკვრის შესართავამდე), ერაყისა (სპარსეთისა), ხოვარეზმისა (კასპიის ზღვას იქით ინდოეთამდე).

ყველა ეს უკანასკნელი სამეფოები იყო სელჩუკიანთა სამთავროები და ასრე დაარსდნენ:

მეექვსე საუკუნეში გამოჩნდნენ თურქნი შუაგულს აზიაში და იგინი განიბნენ ჩინეთიდგან მდ. ოკსამდე და მდ. დანაბამდე (დუნაიამდე). მე-XI საუკუნეს ამათ დააარსეს ძლიერი სახელმწიფო, რომლის აღმოსავლეთი მიჯნა იყო სამარყანდი და დასავლეთი მიჯნა იყო საბერძნეთი და ეგვიპტე. თურქთა უუძლიერეს ხელმწიფედ გამოჩნდა მახმუდი ღაზნელი (997 — 1028 წ.). მამა მისი სებეგტაგი იყო მონად მონისა, რომელი თვითც მონა იყო მაჰმადიანთა მბრძანებლისა. ეს ცხოვრობდა ღაზნაში და ჰმართავდა იმერ-ოქსიანას და ხორასანს და ემორჩილებოდა ბაღდადის ხალიფას. ბედმა გაუღიმა მახმუდს და იგი შეიქმნა თვისის მბრძანებელის სამკვიდრებელის ხელმწიფედ. პირველად მას ეწოდა სახელი სულთანი. მან განავრცელა სამეფო ოქსიანიდგან ისპაანამდე და კასპიის ზღვიდგან ინდოეთამდე, რომელიც მან დაიპყრა. დასავლეთ სპარსეთში მეფობდნენ ბოვიდები. ამ სახელმწიფოს მეფე მოკვდა. მას დარჩა ქვრივი ცოლი და მცირე წლოვანი ყრმა. ღაზნელები მეფობდნენ 1038 წლამდე*), მერე გამეფდნენ სელჩუკიანნი. პირველ სელჩუკიანთ გვარის მეფედ იყო ტოღრილბეგი მიხეილისძე, შვილი სელჩუკისა (1038—1063). ამ ტოღრილმა მიიღო მაჰმადიანობა. ღაზნელნი დაამარცხა და მდ. ინდისკენ განდევნა, ბოვიდების სამეფო დაიპყრო და სპარსეთის მპყრობელად შეიქმნა. დაიჭირა აგრეთვე ადარბადაგანი და დაეხმარა ბაღდადის ხალიფას მის მტრების შემუსრვაში. ტოღრილი წარსდგა ხალიფას წინაშე. მას ჩააცვეს შვიდი ხელი საპატიო ტანისამოსი, უძღვნეს შვიდი მონა, დაბადებულნი არაბეთის შვიდს სამეფოში. მის მიერ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპყრობის გამო თავზე დაადგეს მას ორი გვირგვინი და წელზე შემოარტყეს ორი სარტყელი. ტოღრული მოკვდა. გასულთნდა არფასარანი (ალპ-ასლანი). ამან დაიპყრა ანტიოქია, სომხეთი, ბიზანტიის იმპერატორი რომან დიოგენი დაატყვევა,

*) ღაზნელადვე ცნობილია აგრეთვე ღამარ ღაზნელი, ერთი გმირთაგანი „ამირან დარეჯანიანისა“.

თავის შვილით მელიქით შემოებრძოლა ქართველებს და მოკვდა (1072 წ.). მელიქ-შა მამაზე ძლიერი იყო. მას წაეჩხუბნენ ბიძა და ბიძაშვილები, მაგრამ ესენი დაამარცხა. მის სამეფოს მიჯნებად შეიქმნა ჩინეთი, საქართველო, კონსტანტინეპოლი, იერუსალიმი, არაბეთი. მის სიკვდილმა გამოიწვია ჯიბრი მის ბიძასა და ოთხს შვილს შორის. ამათ შორის ბრძოლამ სპარს-სელჩუკთა დინასტიისაგან წარმოშობა დინასტიები ქირმანისა, ასურეთისა და რუმისა (იკონიისა). ამათგან პირველი მეფობდა ვრცელს ქვეყნებში, ინდოეთის ოკეანემდე, მეორე—ქალებსა (ალეპოს) და დამასკოს და მესამე—მცირე აზიაში. უზენაეს ხელმწიფედ ითვლებოდა სპარსეთის მეფე, რომელიც ხარჯს იღებდა მფლობელებისაგან ქირმანისა, ნიკიისა, ქალებისა და დამასკოსი. ასე იყო მცირე ხანს და მერე იგინი სრულიად განცალკევდნენ (ედ. გიბბონ, VI, 387—409).

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ არაბთა უწინდელ დიდების მარტო აჩრდილიღა დარჩენილიყო აზიაში. სელჩუკიანთა სულთნების შარავანდედმა თვით ხალიფას დიდებაც, თითქმის, დააბნელა. მე-XI—XII საუკ. ამ სელჩუკიანთ უკვე ეპყრათ შვიდი სამეფო ინდოეთიდგან ეგვიპტემდე, ბაღდადიდამ სამარყანდამდე. სელჩუკიანი სალადინი რომ კვდებოდა († 1193 წ.), სულთნად გამოაცხადა თვისი შვილი ათზალი და მისცა მას დამასკო, სამხრეთი ასურეთი და პალესტინა, მეორე შვილს, აზიზს, მისცა ეგვიპტე, მესამეს, ზაგირს,—ხალები (ქალები), თავისს ძმას ადილს—კერაკი (ქართლის ცხოვრების ყარყრი), შაუბაკი და შუამდინარის ქალაქები. საუფლისწულოები დაურიგა სხვა ნათესავებსაც. ათზალი სუსტი ხელმწიფე იყო. ადილმა შემუსრა მისი ძალა და შეიქმნა ხელმწიფედ ნუბიიდგან შუაგულ არმენიამდე. მის სახელს მეჩითებში იხსენიებდნენ საქართველოდგან ადენის სრუტემდე (ვებერი, VII, 92).

მის სამფლობელოს აღმოსავლეთ მომიჯნავედ შეიქმნა ხოვარეზმის სამეფო (ქართლის ცხოვრებისა და რუსთაველის ხვარაზმი, საცა მეფობდნენ ხვარაზმშანი). კასპიის ზღვისა და არალის ზღვისა და ამუდარიის (ბალყუნის, ჯეიხუნის) შორის

მე-XI საუკუნეში იყო აყვავებული ქალაქები—მერვი, ნიშაბური და სხ. სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ამ ქვეყნისა იწოდებოდა ხოვარეზმად ანუ ხარიზმად, ხარეზმად. მე-XI საუკ. გასულს აქ გახელმწიფდა სულთნის მეჯოგის მონა, ანუშტეკინი, მერე მისი შვილი მუხამედ კოტბ-ად-დინი. სულთნად მაშინ იყო ბარკიაროკი. ამის ერთგული იყო მუხამედი, თუმცა სხვა მფლობელები სელჩუკიანთა ფრიად ღელავდნენ. მაგრამ სანჯარი რომ განუდგა თავის ძმა ბარკიაროკს და სამეფო წაართვა მას, მაშინ მუხამედის შვილიც, აზიზი, განუდგა სანჯარს და იწოდა ხვარაზმშად. 1157 წელს სანჯარი მოკვდა. სელჩუკიანთა გვარეულობა აირია. აზიზმა და მისმა შვილმა ილ-ასლანმა იწყეს მძლავრობა და სელჩუკიანთ (სანჯარის მემკვიდრეებს) შეარჩინეს მხოლოდ სპარსეთის რამდენიმე მაზრა. ილ-ასლანი რომ მოკვდა († 1172 წ.), წაებრძოლნენ ერთმანეთს მისნი ძენი ალა-ად-დინი ტაკაში და მუხამედ სულტანშა. ესენი ორთავე კარგი მგოსნები იყვნენ. ბოლოს ტაკაშმა დაამარცხა ძმა და ხოვარეზმის სამეფოს გაფართოვება იწყო. ამ საქმეში მას ხელს უწყობდა სელჩუკიანთა გვარეულობაში ამტყდარი შუღლი და ბრძოლა. ამათი უფროსის მესაწოლეს უხუცესმა, ილ-დეგუზმა, მიითვისა უფლება და იწოდა ათაბაგად. ილ-დეგუზი რომ მოკვდა, გაათაბაგდა მისი შვილი. ხელისუფალთ სურდათ, დაემხოთ ამაყი ათაბაგი. სახელმწიფო ღელავდა. ათაბაგის მოწინააღმდეგეთ მიიწვიეს მეშველად ტაკაში. ამან დაიპყრო რეი, ადარბადაგანი და ისპაანი. უკანასკნელი მეფე სელჩუკიანთ გვარისა, ტოღრილი, ღალატით მოჰკლეს. ტაკაშის ძემ მუხამედმა, რომელიც იყო ჭკვიანი და ცბიერი, გაავრცელა თვისი სამეფო. იგი ებრძოდა ასასინებს, რომელთაც მოუკლეს ვეზირი. წაართვა მათ ყველაფერი, გარდა კლდეებში შეთხრილ ციხე-ქვაბებისა. ძმისწული გადაეკიდა მუხამედს. მას შველოდა მეფე ბაკტრიისა და ჩრდილოეთ ინდუსტანისა. მაგრამ დამარცხდა. ბაკტრიის მეფეც მოკლეს ასასინებმა (1208 წელს). მუხამედმა დაიპყრო ამ მეფის ქვეყანაც და შეიქმნა მფლობელად სამთავროებისა

ინდუსტანიდან ტიგრამდე, სირდარიიდგან მეკრანის უდაბნომდე. მთელი სპარსეთი, ყველა ქვეყნები ღაზნელებისა ხოვარეზმის სამეფოს ნაწილებად გახდა. ხვარაზმშამ შიობა მიიღო და უარჰყო სუნნობა. ამან უფრო მეტი განხეთქილება დაბადა თურქთა სასულთნოებში. (ვებერ, VII, 300). მუხამედი მოკვდა 1220 წელს.

ეს ცნობები და რუსთველის ნაამბობი შესახებ ინდოეთის მეფისა და ხვარაზმშასი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. რუსთაველი იხსენიებს ძლიერს მეფეს ნურადინს და ამგვარი იყო თურქთა სულთანი ნურედინი (1145—1174), თანამედროვე ჯერ ისევ გასათხოვარ თამარისა (1174 წელს თამარი იყო 18 წლისა). რუსთაველი აღნიშნავს ტარიელის, „ინდოეთის“ სამეფოს მემკვიდრის, სიტყვას, რომ სპარსთ (ხვარაზმშას) ვერ შევაჭმევ ინდოეთსო, და ამის გამო იგი ჰკლავს ხვარაზმშას შვილს. ფარსადან მეფეს კი მოყვრობა ხვარაზმშასი ენატრებოდა და მის შვილისთვის იმეტებდა თავისს ერთად ერთს ქალს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალი გატაცებით უყვარდა ტარიელს, ერთად-ერთს წარმომადგენელს თვით ფარსადანის გვარისას. სჩანს, ფარსადანს გაძლიერებულ ხვარაზმშას დამოყვრებით ჰსურდა შეერჩინა თვისი ტახტი თავისს ქალის შთამომავლობისათვის. რა დროს სცხოვრობდნენ ფარსადანი და ტარიელი? რადგან რუსთაველი იხსენიებს ხვარაზმშას და პირველ **ხვარაზმშად** კი იყო აზიზი, რომელიც ებრძოდა სულტანს სანჯარს († 1157) და მისს მემკვიდრეებს, ამიტომ ფარსადან და ტარიელი 1157 წელზედ უწინარესი დროის მეფეები არ იქნებოდნენ.

ჩვენის მოსაზრებით, სწორეთ ეს **ტარიელი** იყო სელჩუკიანთ გვარის უკანასკნელი თურქი **ტოღრილი**, რომელიც მედგრად ებრძოდა ხვარაზმშას და ბოლოს ღალატით მოკლულ იქმნა. სახელი ტოღრილ ადვილად შეიცვლებოდა ტარიელად, რადგან ქართულში ასო „ღ“ ხშირად გამოიტოვება. შეადარე სალდუზ-ეზდინი = სალდუხეზდინი, არსლანი = არსლანი, ჯიბლუ = ძიბელი, ღვაჭარი = ვაჭარი, ღვაჟი = ვაჟი, ღლევა

=ლევა, ღმეტი = მეტი, მიაღწია = მიაწია, აღდგომა = ადგომა და მრ. სხ.

თვით „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობა გვაუწყებს, რომ ამ ტოღრილ სულტნის (ტარიელის?) გერი შვილი ამირმირანი თამარის შემოსახვეწრად მოსულიყო და ამავე ტოღრილის მამას თუ პაპას ცოლად ჰყვანდა თამარის მამიდა, რუსუდანი.

ტოღრილის წინაპრებმა, როგორც ვთქვით, დააარსეს ვრცელი სამეფო ინდოეთის ოკეანედგან საბერძნეთამდის და იწოდნენ შვიდ სამეფოს ხელმწიფეებად. თვით ხალიფა თავს უდრეკდა მათ. შემდეგში ხოვარეზმს გაბატონდა მონა, რომელიც მერე გამთავრდა და შემდეგ გახელმწიფდა (1157 წლის ახლო ხანს) და აუტეხა მედგარი ბრძოლა სელჩუკიანთ, ზედიზედ დაამარცხა იგინი, წაართო სპარსეთი, ერაყი და იწოდა შაჰად ანუ ხვარაზმ-შად. ვიდრე ხვარაზმშა სპარსეთსა, ხოვარეზმს და ერაყს ჩამოართმევდა სელჩუკიანთ სულტნებს, აქ მეფედ იჯდა ქართველთა სიძე სულტანი, რომელსაც, როგორც ვთქვით, ცოლად ჰყვანდა თამარის მამიდა, რუსუდანი. ეს რუსუდანი 1164 წელს უკვე საქართველოში დაბრუნებულიყო და აქ იწოდებოდა „სულტნის ცოლყოფილად“ (ქ. ცხ., 271) და თამარმა დიდუბეში რომ იქორწინა (1193 წ.), იგი განაგებდა მეჯლისს „გვარ-ზეობითა ბაგრატიონთა და ხვარასნისა და ერაყის სულტანთა სძლობით გამეცნიერებული“ (გვ. 292).

ხვარაზმშაები დაუძინებელი მტრები იყვნენ სელჩუკიანთა და ბაგრატიონთა. ამიტომაც ორთავე ამ დინასტიებს, ბაგრატიონთა და სელჩუკიანთ, ერთმანეთისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ, რომ დამაგრებულ იყვნენ თავიანთ ტახტზე. მომყავს მოკლე ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“.

1156 წელს გამეფდა თამარის მშობელი, მეფე გიორგი. ხუთს წელიწადს სამეფოს შინაურს საქმეებს აწყობ-არიგებდა.

შეექვსე წელიწადს (1161 წ.) გაილაშქრა სამხრეთისკენ, აიღო ანისი, მისს მმართველად დასტოვა მანდატურთ-უხუცესი ივანე ორბელი, ამირ-სპასალარი სარგის მხარგძელი და სხ. დიდებულნი. თვითონ დაბრუნდა. 1162 წელს შეიყარა თურქობა შამისა (ასურეთის), ჯაზირისა (შუამდინარის), დიარბეგისა (დიარბექირის) და თავიანთ სულთნებით გარს მოადგნენ ანისს. მეფემ შეკრიბა ლაშქარი და უთხრა მეომრებს: „ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, ჩვენთვის ლახვარ განწონილისა ქრისტესთვის აღვიხვნეთ ლახვარნი და ოროლნი და უგმირნეთ ურწმუნოთა ღმრთაებისა მისისათა!“ მტერს რომ მიუახლოვდნენ, მოიწვია 300 რჩეული მეომარი, მათ შორის სუმბატის ძე ლიპარიტ, აბულეთის ძე ქირქიში, და უთხრა: „მოყმენო, იგიცა ვჯობთ, რომელმანცა უმოსწრაფეს უხეთქნეთ დროშის მქონესა და დაცემითა მისითა დავცეთ ბანაკი უცხო თესლთა ამათ“. წაუძღვა ამ 300 კაცს გრიგალ ქარულად, შევარდა მტრის ჯარში, მედროშე დაამხო და მტერიც თავზარ დაცემული დაიფანტა, გაცამტვერდა.

ეს ამბავი რომ მოესმა ხვარასნისა და ერაყის სულთანს, აგრეთვე ხალიფას და თურქთა სხვა მთავრებს, დიდის ჯარით შემოვიდნენ არანს, აქედგან მეფეც დაიძრა, თურქნი შეშინდნენ და ანისისკენ წავიდნენ, გიორგი დაედევნა მათ და კვლავ დაამარცხა. დროებითი მორიგება მოხდა მეფესა და სულთანს შორის. მათ შორის ჩამოდგა ერთის მხრით ათაბაგი ელდაგუზ (ვებერით—ილდიკუზ) და მეორე მხრით-რუსუდანი, „სულთნის ცოლყოფილი“. ამ მორიგებამ დიდხანს არ გასტანა. თურქნი კბილებს ილესავდნენ ქართველებზე. მეფემ ეს კარგად იცოდა. შეჰყარა ლაშქარი და ერთბაშად დაეცა თურქეთს ყოვლისმხრივ: ა) ტაოელნი, კლარჯნი და შავშნი მიუსია თურქებს ოლთისისა და ბანას მხრივ, ბ) მესხნი

და თორელნი გაგზავნა ყარსისა და აშორნისკენ, გ) ამირსპასალარი სომხითრებით გაუსია მტკვრის მარჯვენა მხარეს განჯისკენ, დ) თვითონ იმერლებითა და ქართლელებით მიჰყვა მტკვრის მარცხენა მხარეს და ე) კახელნი ალაზნის შესართავიდან შირვნისკენ გაისტუმრა. ასეთი დიდი ომი საქართველოს ჯერ არ ეხილვა. ერბაშად დაჰკრა მეფემ მტერს და ყველგან შემუსრა იგი. და ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მტრის დამარცხება არა უგვიანეს იყო „ელიას ცეცხლისა ეტლთა მიერ მსწრაფლ აღტაცებისა“. ქართველთა გამარჯვებამ დიდი შიში და ზარი დაბადა მაჰმადიანთა ქვეყნებში. მაჰმადიანნი დარწმუნდნენ, რომ „არა არს დღეს კაცი ქვეყანასა ზედა პირისპირ შემბმელი გიორგისი და ლაშქართა მისთა; მივრიდოთ და დავეფარნეთ პირისა მათისაგან“. ეს მარტო ქართველის სიტყვა არ არის, ამასვე ამბობენ თვით მუსულმანთა თანამედროვე მწერლები (იხ. „მოამბე“ 1897, №№ XI და 1898 წ., № I).

ზემო ხსენებული ელდაგუზ ათაბაგი მტერი იყო თვით სელჩუკიანთ გვარისა და თამარის მშობლისა. 1177 წელს დიმიტრი დავითისძე რომ აუჯანყდა ბიძას და ტახტი ითხოვა, ამ უკანასკნელის მომხრედ გახდა ელდაგუზი. ამის მოსაწვევად წინააღმდეგ გიორგი მეფისა დიმიტრიმ გაგზავნა ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატისძე, მეჯინიბეთ უხუცესი ქავთარ ივანესძე და ანანია დვინელი. ამათ მოიწვიეს შაერმანი და ელდაგუზის ძენი, რომელნიც თავიანთ ლაშქრით წამოვიდნენ, მაგრამ დიმიტრის ვერა უშველეს რა: იგი მეფემ გააქრო. ამგვარადვე ამ ელდაგუზის ჩამომავალნი შემწეობას აძლევდნენ თამარ-დავითის მეტოქეს გიორგი რუსსაც. ეს ვიდრე მეორედ შემოვიდოდა საქართველოში, ჯერ მივიდა ათაბაგთან, შეე-

წყნარა მას, გამოართო ლაშქარი არანისა და განჯისა და გადმოვიდა ქიზიყს. აქ დაამარცხეს ეს რუსი (1196 წელს) და იგი ორის მონით გადიკარგა. ამ შემთხვევას აღნიშნავს „თამარიანიც“, რომლისაც ამბობს:

> წყალთა არსთასა, ძალთა სპარსთასა
> უძლოდ გიტყვიან, არ შეუძლევად:
> ხაფად დაგესხნენ—ქმრად რამე გესხნენ—
> აწ ძვალთა მათთა დაჰხდეს რა რყევად?!

ელდაგუზი მოკვდა 1173 წელს. გამეფდა მისი შვილი ასლანა. ამავე წელიწადს გიორგი შეებრძოლა ასლანშას და მის ძმებს მაჰმადსა და ყიზარსლანს (ათაბეგებს). შემდეგში ეს ყიზარსლანი გაამეფეს მოლიდებმა (ქ. ცხ; 301). ყიზარსლანი რომ მოკვდა, მისი სამფლობელო დარჩა ალ-ფეჰლავანის (=ქ. ცხ. ფალავანდის) სამს შვილს: უფროსს ხუტლუინანჩის წილად ხვდა ერაყით ხვარასნამდის და ბაბილოვნამდის, შუალას, ემირ აბუბეკრს (=ქ. ცხ. ამირ ბუბაქარს) ადარბადაგანი სომხითამდის, და უმცროსს, ამირ-მირანს, არანი გურგანის ზღვით გელაქუნამდის (გეგჩაიამდის). მრავალ მთავრობამ დაბადა შური და მტრობა. აბუბეკრმა გაიმარჯვა, ძმებს წაართვა სამფლობელოები და გაათაბაგდა. იგი სუსტი ხელმწიფე იყო. მაჰმადიანთ მწერლები ამბობენ, დღე და ღამ დროს სმასა და ცუდ ყოფაქცევაში ატარებდაო. ქვეყნის საქმეები მას არ აწუხებდნენო. მისი ძმა ამირ მირანი ალსართან შარვაშეს შეესიძა, მაგრამ იქ ყოფნაც გაუჭირდა. ამიტომ თამარ მეფეს შემოეხვეწა: „შეგვეწიენითო. შეძლება გაქვთ დაიპყრათ მთელი სპარსეთი და იქ დასვათ თქვენი ასული დედოფლად და პატრონად ყოვლისა სპარსეთისაო“. (ქ. ცხ., 301). ამირ მირანს თავის საცოლედ უნდოდა თამარის ასული რუსუდან.

ასულის მიცემას არ დაჰპირდა, ხოლო შემწეობა აღუთქვა. შეჰყარა დიდი ლაშქარი. მაშინ აქვე იყო თამარის მეშველად ყიბჩაღელი სევინჯი სავალთი, რომლის კარზედ აღზრდილი იყო რუსი გიორგი. მოიწვია აგრეთვე ამირ მირანი და შარვაშე ალსართანი. ამირ მირანი, როგორც ვთქვით, გერი შვილი იყო ტოღრილ სულთნისა. მისი დედა მას ცოლად ჰყვანდა. დიდის ზეიმით მიიღო იგინი თამარმა აგარას, დიდი ნადიმი გაუმართა. ქართველთა ვაჟკაცების მხილველი ამირ მირან ამბობდა: „ერაყსა, ადარბადაგანსა და ერანს ამათებრ მობურთალნი არ დარჩომილ არიანო" (ქ. ცხ., 303). ათაბაგ აბუბეკრმა (ბუბაქარმა) შეიტყო რა ამათი მზადება, აცნობა ხალიფას თვისი გაჭირება, აგრეთვე სხვა მთავრებსა და ხანებს. წამოიმძღვარა ხალიფას დროშა და ლაშქრით აავსო განჯის არემარე. თამარმა დალოცა ჯარი და გაისტუმრა. დავით სოსლანი ლაშქრის მოთავე იყო. მასვე მიჰყვებოდნენ ამირ მირანი და ალსართანი შარვაშე. შეიქმნა სასტიკი ბრძოლა შანქორს (1203 წ.). მტერი შემუსრა და დალეწა დავითმა. განჯაც აიღო. აბუბეკრს წაართო ხალიფას დროშა, აუარებელი სიმდიდრე, ცხენი და სხ. ამირ მირანი დაამკვიდრა მის საბრძანებელში და დაბრუნდა.

ამგვარად თამარმა მეფობა და სულთნობა ერთად შეიერთა. „მაშინდელი ზეიმი და ზარი ვისმანცა ენამან გამოთქვა, ანუმცა ვისი გონება მისწვდა **მეფობისა** და **სულტნობისა** ერთად მქონებლობასა, ათაბაგის ძისა და შარვაშეს ყმად ყოლასა, ყოვლისა მუსულმანობისა ტყვე ქმნასა" (ქ. ცხ., 308).

ამის შემდეგ ქართველებმა რისხვა ღვთისა მიავლინეს მაჰმადიანთ ქვეყნებს. შიში და ზარი მათი ფრიად დიდი იყო მაჰმადიანობაში, ისეთი დიდი, რომ როდესაც ქართველთა ჯარი შევიდოდა მათს დიდებულს ქალაქებში, მაგალ. დვინს

და სხ., იგინი აღარც კი იბრძოდნენ, რადგან იცოდნენ, ამაო იყო ბრძოლა ქართველებთან (იხ. მაჰმადიანთ მწერლების ნაამბობი 1897—1898 წლ. „მოამბეში,„ № XII და № I). ამიტომაც ამბობს შავთელი (გ. 82):

თვით მეზღაპრესა ცუდ ფელამბარსა,
ღვთისა არ მართლად მქადაგებელსა,
ეც მოსესხითა—არ მოსეს ხითა—
მას ღვთისა მიერ მოძაგებულსა.

ამასვე იგულისხმებს „თამარიანის" ავტორი (გ. 26, 27):

არსა სულტანი, არ სასულტანი,
არათუ შინა სამაროვნებად,
არა, მედგარე, არამედ გარე
თვით და ხალიფას გამკიცხოვნებად.

აგრეთვე (გ. 33):

წაულე რანი, წაულ ერანი,
ყელსა დასახენ ჩამომდებარე.

აგრეთვე (გ. 73):

მუსურმანთა სიმართლით მსრველი,
ურჩთა კლვად მკოდი, სულტანთა მგოდი,
ხალიფას სვისა ჯვარითა მშლელი.

ეს უფრო ცხადად სჩანს, როდესაც ავქსონი იხსენიებს (თამარიანი, გ. 77) თამარის მიერ დამარცხებულს ათაბაგ-სულტანს აბუბეკრს ანუ ბუბაქარს.

ბობქარ მგოდები, მცდრად ნაწოდები,
დავითის ხლმითა შემარცხვენალი.

და აგრეთვე (ტ. 94):

ევლტვის ხალიფა, იტყვის შარიფა:
„აწ გაგვიცუდდა სჯულისდებანი“.

და აგრეთვე (ტ. 95):

მცხრობს აქა ალევს, მბრძოლთა ქაალევს
რა მძლედ ავა, დის მოხსენებანი:
„ახალო ხვასრო, ბაღდადით სპარსო.
ჲაევლესო, დასვენ ებანი!“

ხალიფა იძულებულ ჰყო, ეძლია ქართველებისათვის ხარკი (ქ. ცხ., 318). შავთელი (ტ. 16):

ა, ხალიფასი ახალი ფასი
მრავლად მოერთმის თავთა მონებად

ვიმეორებთ, ქართველთ მეფეთაგან ხალიფა არავის შეუ-მუსრავს, მისგან ხარკი არავის აუღია, გარდა თამარ ბრწყინვა-ლისა. ეს ცხადად სჩანს „თამარიანითაც“ (ტ. 74):

ბოქარ რადა რბის, დასდვახ დვინსა რბის...
სხვათა მძლევართა ხარკთა მძლევართა
ზედა სხვა შიში ჰმატს საშინელი:
რომელ დღეს ტაოს მოამატა ოს,
ისპირს და შარვანს მოვლაა ძნელი!

(ტ. 77): მეცადვინები*). მე ცად ვინები:

მბრძოლთა მხარკემან გძლვნას მოხარკემან
ელიჯათ**) ოქრო დასატენალი

---

*) ვმეცადინეობ.

**) ელიჯა ანუ ელინჯაქარი იყო არანის მხარეს და ეკუთვნოდა ფალავანდის შვილებს. ეს ფალავანდი ის ფალავანდი უნდა იყოს, რომლის შვილი აბუბეკრ შეიქნა სულთნად და შეება თამარ მეფეს. თამარის ჟამს იგინი გადმოსახლდნენ ქართლს და იწოდნენ თავად ფალავანდიშვილებად. (იხ. თავად-აზნაურთა სიები).

არ ეცნას, ხალიფას სისხლსა რად სდის ტენალი!

აქ ვათავებთ საქართველოს მეზობლად მყოფ სახელმწიფოების პოლიტიკურ ყოფა-მდგომარეობის განხილვას. რომ თამარს ამ სახელმწიფოებ შორის საჩინო ადგილი ეჭირა, ეს ცხადია. ქართლის ცხოვრება ამბობს (გვ. 337): თამარი „ბჭედ ჯდა შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა, არა მიშვებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უღელსა მძლავრებისასა ურთიერთას სახედ თავსა თვისსა მისცემდა."

შეადარე:

(შავთელი, ტ. 47):

მამის ძედ არი სამგზის ნეტარი,
მეტრფე საქმეთა სახელისათა:
თვით ბჭეთა ბჭედი მტკიცე ბეჭედი,
მეწდე სიტყვათა სიმართლისათა,
ერთა შემცველი, მტერთა შემწველი
თანად შიშითა სასჯელისათა.

ამიტომაც ყოველნი თამარის ქებასა და დიდებაში იყვნენ: მენავენი, მოგზაურნი, მშრომელნი, ბერნი და ნორჩნი, მგოსანნი და მხედარნი, დიდებულნი და მცირებულნი, თავისიანნი და გარმიანნი; ერაყს მყოფნი მეებნენი და მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკებდიან, თამარის ქებას იტყოდიან ფრანგნი და ბერძენნი; შარვანნი, დარუბანდელნი, ღუნძნი, ოვსნი, ქაშაგნი, არზრუმელნი და ტრაპიზონელნი მის მიერ თავისუფლებითსა ცხოვრებასა იყვნენ და აქებდნენ მას (ქართ. ცხ., გვ. 336). შეადარე:

შავთელი, (ტ. 63). თამარ მეფეო

თვალიხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური, უსახლთ სართული,

მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად მონიჭებული;
მოხუცებულთა, შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი.
სჯულისა ლარი, ქვეყნისა ლარი
გამდიდრებული ფრიად ყოვლითა,
საფარველ ერთა, საძლეველ მტერთა,—
მარტივად ბრწყინავს თვალი სოფლისა.

(ტ. 60) თქვენ ინდოეთი, კვირინ, გუთეთი,
არიელ ფოტელ, გერგესეველნი,
შიშველ-მართალნი,*) ციდამტკაველნი
აბაშ შაბაშნი, ღვედკეცნეველნი,
ბასრი ბარანი, ვრახმან, ერანი
გაქებს, გადიდებს ძნობით ყოველნი.

(თამარ., ტ. 95) თარშით და დალბით, ეგვიპტ, ალაბით
სძღვნენ ნიჭად თვალთა და მონებანი.

თვით ამირ მირანის მიმხრობა, მისი გასულტნება, მის მიერ ცხენთა მოძღვნა ლაშასთვის და მის დის რუსუდანის საცოლეედ თხოვნა „თამარიანში“ ასრეა გამოთქმული (ტ. 101): დავით სოსლანმა

თვით ბრძენი სწვართა, მით მოიმართა
მისდა დიდებად, გასულტანებას;
მოყმე სვიანი, იესიანი,
ლაშა აძებნა**) ლხინად და შვებად:

---

*) ასრე იწოდებოდნენ მეუდაბნოენი, რომელნიც ცხოვრობენეხ ერთს კუნძულზე (იხ. მუზ. ხელნაწერი).

**) ლაშა გიორგი აძენინაო დავითმა მის მიერ აჳლად გასულტნებულს.

შიშითა მკრძალი ვაზირთა ძალი
მოგზავნა დიდთა ცხენთა მძღვანებად;
უდრი ითხოვა, მზე მოითხოვა
ბნელისა კართა ნათელთა ცებად*).

მ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

*) ამირ მირანმა შემოუთვალა თამარსა და დავითს: „მაშა მოგვეცით ასული, ნათელი და ბრწყინვალება შარავანდედობისა თქვენისა და დასვით დედოფლად და პატრონად ყოვლისა სპარსეთისა.“ და წარმოგზავნა ურიცხვი ძღვენი ფასდაუდებელ თვალითა და მარგალიტით (ქ. ცხ., 301).

# თამარ მეფე
## და
## მისნი ისტორიკოსნი

### XIII ასასინები=მოლიდნი=ქაჯნი.

აქვე უნდა დავურთოთ ცნობა შესახებ **ასასინებისა**, რომელნიც ჩვენ მიგვაჩნია რუსთაველის ქაჯებად.

ასასინები გამოჩნდნენ მე-XI საუკ. უკანასკნელს წლებში. ესენი მაჰმადიანები იყვნენ, მაგრამ მაჰმადიანობა თავისებურად სწამდათ. მათ მოთავედ იყო შია ჰასანი, რომელიც ასწავლიდა თავისს მსმენელებს: ღმერთი დროით-დრო განხორციელდება ხოლმე, რომ განწმინდოს სარწმუნოება ცთომილებათაგანო. ახალმოქცეულს ბლომად ასმევდნენ ხაშხაშის შარბათს, მერე გარეტიანებული საუცხოვოდ შემკულს ბაღში გადაჰყავდათ, ხიბლავდნენ შვენიერ სანახავებით, ქალებით, ისევ ასმევდნენ გამოსაფხიზლებელს სასმელს და წინანდელსავე ადგილს გადმოჰყვანდათ. ყოველივე ეს მას ისე ეჩვენებოდა, თითქო სამოთხეში ყოფილიყოს, და ამ სარწმუნოებისთვის თავს დებდა, რომ სამოთხის ღირსი გამხდარიყო. ხაშხაში პირველად მათ მოიგონეს და ამიტომ ეწოდათ ხაშიშები (ხაშიშინნ ევროპიელთაგან ასსასსინ-ად გადაკეთებულია. ეს ხაშიშები ფრიად მრავალნი და მძლავრნი იყვნენ. იგინი უმთავრესად ბატონობდნენ ჩრდილო სპარსეთის მიუდგომელს მთებში და ლიბანას. მალიქშა რომ მოჰკლეს ხაშიშებმა, დაიპყრეს ციხე-ქალაქი შაჰდურრი, რომელიც იყო ისპაანის ახლოს და

ამ ისპაანიდამაც ბევრნი მათ მიემხრნენ. მათი მფარველი იყო ემირი რიზვანი. ხაშიშებმა დაიპყრეს მრავალი მიუდგომელი ციხეები, აგრეთვე ქალაქები ხალები (ქალები) და ალმუთი, რომელიც შეიქმნა მათ უმთავრეს შუაგულად. მათი ძლიერება საიდუმლოებაზე იყო დამყარებული: ვისაც მათი მოთავე შეატყობინებდა ამ საიდუმლოებას, იგი ველარავის გაანდობდა და ამასთანავე თავის მბრძანებლის მონად იქცეოდა. ამ მოთავეს კი ერქვა „შეიხი მთისა“. მისს ბრძანებას დაუყოვნებლივ ასრულებდნენ; დიდის ხერხით და ხელოვნებით, მხნედ, უშიშრად, შეუმჩნევლად კაცს ჰკლავდნენ, ამისთვის მათ მოელოდათ—სააქაოს სიმდიდრე, საიქიოს—ნეტარება სამოთხეში. ეს გულმყარი მცარცველები და უშიშარი მკვლელები აგარიანებისა და ქრისტიანების საფრთხობელად გახდნენ. მათს ხანჯალს გაუგმირია არა ერთი სელჩუკიანი და მათი ვეზირები და მათი ლაშქარი უკუუქცევია თავისს ფრიალოზე აგებულ ციხე-კოშკებიდან. მათვე მოჰკლესო სულტანი მაჰმუდი. ბევრს ევროპიულს ენაზე მათი სახელი „მკვლელად“ იხმარებოდა (ვებერ, VI, 457—458).

ამ „საიდუმლო“ მწვალებლებს და უჩინარს, მართლაცა, და ქაჯს, „სახელმწიფოს“ მოიხსენებს ქართლის ცხოვრებაც და მოიხსენებს **მულიდად, კაცის მკვლელად.**

ქართლის ცხოვრება პირველად მათს სახელს იხსენიებს თამარის ცხოვრებაში (გვ. 301): მოკვდაო ათაბაგი ყიზ-არსლანი, მოლიდთა მიერ გასულტნებული. შემდეგ 363 გვერდზე მონგოლნი მოხსენებულნია ნათესავად მოლიდთა, მაგრამ ეს სიტყვა შენიშვნაში გასწორებულია მომავალთა-დ, მოღალთა-დ, თუმცა შეიძლება **ხაშიშად** ზოგი მანღულიც ყოფილიყო, აგრეთვე ყოვლის ტომის კაცი.

გვ. 365: მანგუ ყაენს მანღულისას მოახსენეს: „ერთობილნი ქართველნი ტყუილსა ევლტვიან, მწამლველი და მხიბლავი კაცი არცა თუ სახელ იდების მათ შორის; ხოლო სპარსნი არიან ცრუ, მოღალატენი, ფიცისა არა შემნახავნი,

და **მულიდნი და მწამლველნი** მრავალნი იპოებიან მათ შორის და ურცხვინოდ მამათ-მავალნი“.

გვ. **371**: მანღულები და ქართველები შემოერტყნენ **ალმუთს** და შვიდს წელს ებრძოდნენ ამ ქალაქს. „ალმუთელნი არიან მიპარვით კაცის მკვლელნი, რომელთა **მულიდად** უხმობენ. ერთი ხელოვანი მულიდი უჩინრად შეიპარა ჩალატარ ნოინის კარავში, მოჰკლა იგი და უჩინრადვე გაიპარა. მკვლელობა ქართველებს გადააბრალეს და ის იყო, ჟლეტავდნენ ქართველს დასს, რომ ჩალებიდან გამოვიდა მკვლელი და გამოაცხადა, მე მოვკალ ჩალატარიო“

გვ. **382**: დავით მეფემ (1243—1259) და მანღულებმა საქმე რომ გაუჭირეს ალმუთელ მულიდებს, იგინი ეგვიპტეს გადასახლდნენ. „აწ რომელ მულიდნი მისრეთით (ეგვიპტით) გამოვლენ, იგივე ალმუთელნი არიან, მუნ დამკვიდრებულნი“.

რუსთაველის ქაჯებსაც სწორედ ის თვისებები აქვთ, რითაც მულიდნი=ხაშიშები (ქაში-ში=ქაჯი?) გაირჩეოდნენ სხვა რწმენის ხალხთაგან. შეადარეთ:

არ ქაჯნია, კაცნიაო,
მინდობიან კლდესა სალსა.
ქაჯნი სახელად მით ჰქვიან:
არიან ერთად კრებულნი,
კაცნი **გრძნებისა** მცოდნენი,
ზედან დახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნებნი:
იგი ვერვისგან ვნებულნი:
მათნი შემბმელნი წამოვლენ
დამბრმალნი, დაწბილებულნი.
იქმენ რასმე საკვირველსა:
მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღძრვენ საშინელთა,
ნავსა ზღვა-ზღვა დაამჴობენ,

ვითა ხმელსა, გაირბენენ
წყალსა, წმინდად დააშრობენ,
სწადდეს, დღესა ბნელად იქმენ,
სწამდეს, ბნელსა ანათობენ.

**მათი ქალაქი, სიმტკიცე:**

ქაჯთა ქალაქი აქამდის
მტერთაგან უძლეველია:
ქალაქსა შიგან მაგარი
კლდე მაღლი და გრძელია.
მას კლდესა შიგან გვირაბი
ასაძრომელი ხვრელია,

ამ კოშკში დაემწყვდიათ ნესტან-დარეჯანი:

მუნ არის მარტო მნათობი,
მისთა შემყრელთა მწველია.
გვირაბისა კართა ნიადაგ
მოყმე სცავენ არ პირნასები:
ათიათასი ჭაბუკი დგის,
ყველა კაი **ხასები** (ხაშიშები?),
ქალაქის კარია სამთავე
სამათას — სამათასები.

რუსთაველის ქაჯი—**მოლდი** (მოლიდი?), რომელიც ფატმანმა და ავთანდილმა წერილით გაგზავნეს ქაჯეთს ნესტანთან (ტ. 1253—1255), იმ თვისებისა და ზნისაა, ვითარცა ქართლის ცხოვრების აღწერით და ვეფხის ტყაოსნის მოთხრობით მოლიდნი—ხაშიშნი. ქართლის ცხოვრებაში აღნიშნული თვისებები სიტყვა-სიტყვით გაუმეორებია რუსთაველს:

ფატმან მისცა დაწერილი
მას **გრძნეულსა ხელოვანსა**:
„ესე წიგნი მიართვიო
ქალსა, მზისადა საგვანსა“.

მან გრძნეულმან მოლი*) (მოლიდმა)
რამე წამოისხა ზედან ტანსა,
მასვე წამსა გარდიკარგა,
გადაჰფრინდა ბანის-ბანსა.
წავიდა ვითა ისარი
კაცისა მშვილდ-ფიცხელისა.
რა ქაჯეთს შეჰხდა, ქმნილიყო
ოდენ ბინდბანდი ბნელისა;
ჩინოდ შევლო სიმრავლე
მოყმისა, კართა მცველისა;
ციხისა კარნი დახშულნი
შევლნა მართ ვითა ღიანი,
შევიდა ზანგი პირშავი,
თმაგრძელი, ტანნაბდიანი.

თვით ნესტანმა შემოუთვალა ტარიელს (ტ. 1276—1277):

აწ სოფელმან უარესი
ჭირი ჭირსა მიმისართა:
კვლავცა მიმცა შესაპყრობლად
ქაჯთა, მჩელად საომართა.
ციხეს ვზი ეზომ მაღალსა,
თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა,
მცველნი მუნ ზედან დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი
ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დაჰხოცენ,
მართ ცეცხლად მოედებიან.
ნუთუ ესენი გეგონენ
სხვათა მებრძოლთა წესითა?!

*) იხ. ცნობები გრძნეულთა ქვეყნის შესახებ ამირან-დარეჯანიანშიაც (გვ. 212—220 და სხ.).

ქაჯეთის ციხეს ვერც აიღებდნენ ავთანდილ, ტარიელ და ფრიდონ, თუ ქაჯნი შინ ყოფილიყვნენ.

ავთანდილ—ფატმანმა მისწერეს ნესტანს (ტ. 1251):

ჩვენ ამისთვის ესე მონა
გამოვგზავნეთ თქვენს წინა,—
ვცნათ ამბავი ქაჯეთისა:
**მოსრულანცა ქაჯნი შინა?**

ნესტანდარეჯანმა მოიწერა (რ. 1264):

სხვად ამბავი აქაური
მეტი რამცა მოგიწერე!
ქაჯთა მეფე არ მოსულა,
არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე,
მაგრა სპანი უთვალავნი მცვენ
და მათი სიალფერე.*)
რასა ჰქვიან ძებნა ჩემი?!
არ ეგების, დაიჯერე!

ვიდრე ქაჯნი შინ არ იყვნენ, ავთანდილმა, ტარიელმა და ფრიდონმა მცირე რაზმით დალეწეს ქაჯთა ციხე და გამოიყვანეს ნესტანდარეჯანი. ამას, ჩვენის აზრით, ნათელს ჰფენს შავთელის შემდეგი შესანიშნავი ტაეპიც (79):

ანდიბან მოგვმან, გრძნებითა შმაგვმან,
მისნობით ხელჰყო ზაკვით ზღაპრობა:
ეშმაკთ ევედრა, სული შევედრა,
მით ექმნა სრულად მათთან საგრობა.
თქვენგან ქურუმთა, მყის აქ ურუმთა
**მოღალდთა** ცუდჰყვეს ბომონთ მოთხრობა.

*) ცეცხლივით სიფიცხე (ალ-ფერი, სიალფერე).

ძუგლად სჯულისად, მართლმსაჯულისად,
დავით, გიწოდა*) თვისად მკვიდრობა.

ქაჯთა მეფე რომ მოკვდა, მისი ქვრივი დულარდუხტ შეფედ ზრდიდა თავის ძმისწულს **როსანს.** ეს როსანი შეიძლება იყოს ის **რიზვენ** ემირი, რომელიც, როგორც ზევით იყო ნათქვამი, მფარველობდა ხაშიშთა სამფლობელოს და რომელიც შემდეგ, ალბად, აქ გამეფდა.

ამ ქაჯებს, ვითარცა მოლიდ=ხაშიშებსაც, დიდი რიხი ჰქონდათ მაჰმადიანობაში. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, ამათ ძლიერებისა და გავლენის ალსანიშნავად ისიც საკმაოა, რომ თვით ინდოეთის დიდის მეფის ფარსადანის და დავარი ამ ქაჯთა მეფეს ცოლად ჰყავნდა და იგივე მერე ზრდიდა ნესტან დარეჯანს, ინდოეთის მომავალს დედოფალს. ამას გარდა, თვით ფარსადან ხელმწიფის კარზედაც იყვნენ ქაჯნი, რომელთაც გაიტაცეს ნესტანდარეჯანი, დანიშნული გმირის ტარიელისა, როდესაც ამან წინააღმდეგობა გამოუცხადა ხვარაზმშას და მისი შვილი მოკლა. ალბად ამდროს ქაჯნი ხვარაზმშას მომხრენი იყვნენ, და ტარიელი წამოვიდა კასპიის ზღვისკენ და მის ახლოს შეხვდა ხვარაზმას მტერს როსტევანს, როდესაც ეს ნადირობად გამოსულიყო. ეს იმდროს უნდა ყოფილიყო, როდესაც თამარს დაუპირეს რუსზე გათხოვება და დავით სოსლანი, თამარის რჩევით, გზას გაუდგა, რომ მომხრეები ეშოვნა მეზობელს სახელმწიფოებში.

ჩვენ ვფიქრობთ, მომხრეების ძებნას დავით სოსლანი უნდა შესდგომოდა ჯერ ისევ გიორგი მეფის ჟამსვე, სახელდობრ 1179 წლითგან, როდესაც თამარი მეფედ გამოაცხადეს და როდესაც ეს თამარი, როგორც ვთქვით, უკვე მოწიფული 23 წლის საპატარძლო იყო. ამდროიდგან და უფრო კი რუსის მოწვევის წლითგან (1187 წ.), როდესაც თამარი 31 წლის გახდა, თამარის შერთვამდე (1193 წ.) დავით სოსლანს უნდა ენახა ყველა ძლიერი და საიმედო გმირები და მეფეები. ვიმეორებთ, თუ არა შუღლი და უკმეხობა ძლიერის მებატონეე-

---

**) თამარ მეფემ.—შეადარე („თამარიანი", ტ. 100): „ურჩთა მოგვიდებს (თამარ მეფე) ცითა ნაწოდებს: დავითს უწოდა მეფეთაძებად."

ბისა, გიორგი მეფე თავის სიკვდილის წლამდის († 1184 წ.) თამარს უეჭველად გაათხოვებდა და დააბინავებდა და არ გახდიდა მას საცილობელ საგნად მრავალგვარ და მრავალნაირ სანეფოებისა, შინაურებისა და გარძიანელებისა.

## XIV. ორი მსოფლიო.

„ვეფხის-ტყაოსანში“ გამოხატულია ორი მსოფლიო, წმინდა ქართული და წმინდა გარმიანული. „არაბეთი“ საქართველოა და „ინდოეთი“ გარმიანეთი.

### ა) მსოფლიო ქართული.

ა. „არაბეთის“ მპყრობელნი უბნობენ ქართულად:

ყმა ტკბილი და ტკბილ ქართული
სიკეთისა ხელის მხდელი (ტ. 692).

ბ. აქ ძველის ჩვეულებისამებრ, როგორც ვახუშტიც მოწმობს, ფეხმოკეცით არ სხდებიან, არამედ სკამზე ჯდომიან.

ყმა მხიარული წინაშე
დასვა სკამითა მისითა.

გ. იმავე ჩვეულებისამებრ სასიძო მორცხობს, სიმამრს პირს ვერ უჩვენებს, და მაჭანკალიც ხელმანდილს იხვევს.

ამოიღო ხელმანდილი,
მოინასკვნა ზედან ყელსა (1499).
მაგრამ (სასიძო) ირცხვის მეფისაგან:
ხელთა ჰქონდა ხელმანდილი,
პირსა მითა იფარვიდა (1506)

სიმამრი კი სასიძოს ეუბნებოდა: „ნუ მერცხვი. რასა გრცხვენიან“ და ეხვეოდა და პირსა ჰკოცნიდა (ასრეა დღე-

სად საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მეტადრე ძველს ელისენში, სადაც ეს ჩვეულება შეუცვლელად ჰგია).

დ. ქართული დალოცვა ჯვარდაწერილებისა (ტ. 1521):

აწ, შვილნო, ღმერთმან თქვენ მოგცეთ
**ათას წელ დღეთა გრძელობა,**
სვე-სვიანობა, დიდობა,
კვლავ ქირთა გარდუხდელობა;
ცამცა ნუ შეგცვლისთ, მოგხვდებისთ
თვით მისებრ შეუცვლელობა;
**თქვენით ხელითა მედირსოს**
**მიწათა შემომყრელობა".**

ეს ჩვეულება არათუ მარტო ქართული, ქრისტიანულიცაა, „მიწათ-შემომყრელობა" დამარხვის დროს. ათას წელ დღეთაგრძელობა" ასეა „თამარიანშიაც" (ტ. 80): „აქვსმცა სუფევად ათასი წელი."

### ე. ნადირობა და ანდერძი.

| ქრისტიან ავთანდილისა. | შოთა ავთანდილისა. |
|---|---|
| ავთანდილ გადინადირა<br>ქედი მაღალი, ტყიანი. | მას მიხვდა წვერი სადგურსა<br>მაღლისა მთისა დიდისა |
| ნახტომსა შველსა ფერდსა ჰკრა<br>ისარი ორბის ფრთიანი. | ისრითა მოჰკლის ნადირი. |
| ჩამოხდა მუხისა ძირსა,<br>ცეცხლი დაანთო ძლიერი. | შამბისა პირსა გარდახდა,<br>ცეცხლი დააგზო კვესითა. |
| ცხენსა მისცა საძოვარი სა-<br>ნამ მწვადი შეიწოდა | ცხენსა მისცა საძოვარი<br>ვინემ მწვადი შეიწოდეს |

| | |
|---|---|
| დაინახა შორიდგან მომავალი კაცები, ურჯულონი, მარდად შეახტა ლურჯასა და | დაინახა შორიდგან მომავალი კაცები, მეკობრენი და ავაზაკნი ეგონა. |
| ვიწრონი გაარბენინა, მინდორი უფრო ჩქარადა. | მთით ჩამოვიდა ავთანდილ მინდორს, აცორვებს ტაიჭსა |
| დაჯდა და წიგნი დასწერა და ტრედს (მეჯინიბეს?) გადასცა: „ეს დედა ჩემსა მიმირთვი“. | დაჯდა წერად ანდერძისა, დასწერა და შერმადინს გადასცა: „ეს როსტენს მიართვი“: |
| „დედაო, ველარ მოგივალ ჩქარადა. გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზედ შეღებე შავადა. ის ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც საწირავადა. ის ქალი ისეთს კაცს მიეც, მე მჯობდეს თვალად, ტანადა. ის ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანე მზითვადა“ | თუ საწუთრომან დამამხოს, ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან, ველარ **შემსუდრონ** დაზრდილთა, მაქვს საქონელი ურიცხვი, მიეც გლახაკთა საჭურჭლე, დაამდიდრე მონები, ნუგეშისეც შერმადინს (რომელიც თავისს ციხე-ქალაქში დაეგდო თავის წილ). |

## 3. ქართული ქორწილი

| შავთელით და ქ. ცხოვრებით | ვეფხის-ტყაოსნით |
|---|---|
| მიხვდეს მისრულნი, მისთვის მისრულნი, საქმესა ძნელსა, | შევიდეს, ნახეს თინათინ, მჭვრეტთა მომცემი ჭირისა. |
| გვირგვინოსანსა, ფორფიროსანსა უხდების პყრობა სკიპტრისა ხელსა. | სკიპტროსან-გვირგვინოსანსა ჰშვენოდა ცმა პორფირისა, მისრულთა პირსა შეადგა ელვა მისისა პირისა. |
| ეგრეთ ინახის, ვით მზე სამყაროს მანათობელი. | ჰგავს, თუ ცამცა მოდრკა ქვეყნად, შეყრილან ორნი მზენია; მათ ყოველთა ანათობს შუქი პირისა, მზისა მსგავსისა. |

(დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი მზენი (თამარ და დავით) (სიმშვენიერით მოსილი, ამომავალი მზის დარი).

მოვიდნენ რუსუდან და გზრდილი მისი დავით, თამარ და სხ. სრასა დიდებისასა. ქმნეს ქორწილი შესატყვისი. იყო რაზმთა სიმრავლე. (ასი სული ცხვარი დაკლა და ორასი ნიშა ხარი. ლურჯი სუფრა გაუშალა, იქნებოდა ასი მხარი).

მოვიდა მეფე როსტან და მისი გაზრდილი ავთანდილ. დასხდენ ყველანი. დაიწყეს მორთვა პურისა ლაშქართა მის მესავსისა. ძროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი ხავსისა.

იაგუნდისა—სხვა რად უნდისა?—ჯამები იყვის ლალ-ფირუზისა. იყვის ჭურჭელთა, სხვათ უცხო ფერთა სიმრავლით დება თვით ურიცხვისა.

იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჭიქები, კვლავ უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები. მის ქორწილისა მაქები კაცი ბრძენთაგან იქები!

ისმის მგოსანთა, ვით საფიროსთა, ხმანი ებნისა და წინწილისა (იყო ხმა მგოსანთა, მუშაითთა და სახიობათა მჭვრეტელნი).

მუტრიბნი მოსდგეს ყოველგნით, ისმოდა ხმა წინწილისა. მჭვრეტელო, გულსა ეტყოდი: „ნუ აეხსნები, მუნ ები!“.

ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი, ზოდი ოქროსა, მისგან თლილისა

შეყრით სძეს გორი ოქროთა და ბალახშნისა თლილისა, მსმელთათვის **წყარო დვინისა ასკან** სდის, მსგავსი მილისა.

(მშვებელნი იშვებდეს, გლახაკნი გამდიდრდებოდეს, მოვალენი ვალთაგან განთავისუფლდებოდეს, ობოლნი და ქვრივ-

შეიქმნა ძღვნობა ძღვნისა მათისა შესამსგავსისა. არა დარჩა უსაბოძვრო არ კოჭლი და არ საპყარი: მოდიოდა

ნი ღონიერ იქმნებოდეს და ეკლესიანი აღყვავდებოდეს) (ქვრივ-ობლებსა უწყალობა ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი).

ვინმც იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი გოარი მათგან დანათვალისა. რიყე თვალისა წინ ნათალისა, სჩანს მარგალიტი ოდენ ბურთისა საბურთალისა. აქვს ზარდახჩანი ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალი.

მარგალიტი მოფანტული მონაყარი, გაბედითდა წასალებად ატლასი და ოქრო მყარი. კვლავ მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ბატისა.

ვინმცა ჰქმნა რიცხვი ოქროსი, ვერვისგან დანათვალისა. მუნ იდვა რიყე თვალისა ხელწმინდათ განათალისა. ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა. ჰპოვეს ერთი ზარადხანა აბჯრისათვის ახლად ქმნილი.

მ. ჯანაშვილი

მოამბე 1904 წ. № VI

# თამარ მეფე

## და

## მისნი ისტორიკოსნი

(დასასრული)

**ზ.** თამარმა გადასცა ლაშას 80,000 მეომარი. ამდენივე მხედარი ჰყავს თინათინს (ტ. 1593,1553).

**ჱ.** ქრისტიანი ავთანდილი (ვეფხის-ტყ., ტ. 816)

იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად
გთქვის მზიანისა ღამისად,
**ერთარსებისა ერთისა**,
მის უჟამოსა ჟამისად.

ძველადგანვე მზე მიაჩნდათ ხატად **ერთარსებისა:** მამისგან ძე იშობება და გამოვალს სული წმიდა; მზისაგან გამოდის სინათლე და იბადება სითბო.

**თ.** „არაბეთს“ იყო როსტევან... არავითარი ისტორიული უმართლობა არ არის, რომ რუსთაველი საქართველოს უწოდებს „არაბეთს“. საქართველოც, ვითარცა მრავალი სხვა სახელმწიფოები, შეადგენდნენ არაბთა ყოფილ მძლავრ იმპერიის ნაწილს, და ამ არაბებს სწორედ 400-ის წლის განმავლობაში (722—1122) ეჭირათ თვით საქართველოს დედა ქალაქი, ტფილისი. „არაბეთადვე“ იხსენიებს საქართველოს მოსე ხონელიც. გმირები ამირან, ნოსარ და სხ. დიდოეთში შედიან „არაბეთით“ და „არაბეთსვე“ ბრუნდებიან. „არაბეთის“ მომიჯნავედ მოსე

ხონელითვე არიან ხაზარეთი, ოსეთი, ზღვათა სამეფო, ჰენდა სამეფო (საჰენბაკურო, საორბელიანო) და სხ. ყველა ეს სამთავროები არაბეთის მომიჯნავედ არ იყვნენ, იგინი იყვნენ საქართველოს განაპირა სამფლობელოები. არაბთა რიხი ჯერ თამარის დროსაც სრულად არ იყო გადავარდნილი. თამარი თავის ფულის მეორე გვერდზე ისევ არაბულად აწერდა ამ სიტყვებს: „დედოფალი მაღალხარისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, შემდევი მესიისა. ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი“.

**ი. როსტევან.** ამ სახელს რუსთაველი თან-და-თან სცვლის, სწერს **როსტენ, როსტან.** გიორგი მეფე რომ გარდაიცვალა, მის ასულის თამარის **მეორე მშობლად**, როგორც იუწყება ქ. ცხოვრება, შეიქმნა რუსუდანი, თამარის გამზრდელი. თამარისთვის ქმრის შერთვა და ამ ხელმწიფის ყოველი შესაუარი ეკითხებოდა მხოლოდ რუსუდანს. რადგან თამარის მიერ დავით სოსლანის შერთვისას გიორგი მეფე ცოცხალი აღარ იყო და მისი მაგიერი თამარისთვის იყო რუსუდან მეფე, ამიტომ მგოსანმა, ალბად, ერთფეროვნებისათვის საჭიროდ დაინახა მეფის სახელი **როსტევანად** შეეცვალა, ხოლო როსტევან=როსტენ=როსტან იმავე როსდანს=რუსუდანს უნდა უდრიდეს.

### ია. თამარ—დავითი=თინათინ—ავთანდილი.

| ქ. ცხოვრება | „აბდულმესიანი“ | „თამარიანი“ | „ვეფხისტყაოსანი“ |
|---|---|---|---|
| დაიპყრეს კიდენი ქვეყნისანი, მეფობდეს ზღვითა ზღვამდე და მდინარითგან კიდემდე სოფლისა (გვ. 277). | | | გავლექსე თამარისა და დავითის სარებლად, რომელნი არიან აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად... |

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთგულნი დაამდიდრნეს, ორგულნი პირქვე დაამხეს და თავზარ-დასცეს (229 და სხ.). | ორგულთა მოსწყლავ, ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად (ტ. 61). ერთა შემცველი, მტერთა შემწველი, შრომით რებულთა სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი. | ურჩთა კლვად მკოდი, სულტანთა მგოდი (73). ერთგულთა უკლი, ურჩთა კლვად ზინდანს შემაყენალი(76) | ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად (1573). |
| დამარცხებულ ხალიფასაგან მრავლად მოერთმის ხარკი (318). | ხალიფასაგან ახალი ფასი მრავლად მოერთმის თავთა მონებად (16). | მედგარ ხალიფას გამკიცხოვნებად (27). ხალიფას სვისა ჯვარითა მშლელი (73). | (მაშინ ხალიფა ჯერ არ დაემარცხებინა). |
| მამა ობოლთა, მზრდელი ქვრივ-დატაკთა; სნეულთა ყოველთა ზედა დაასხნა წყალობა უხვებით (279 და სხ.). | თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა, მშიერთა პური, უსახლოთ სართული, მამა ობოლთა (63) ექმენ ედილად*) ყრმათა, ედილად*) | ტკბილი, მოწყალე ყოველთა კაცთა განურისხევად (100). | ყოველთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა, მოათოვდეს. ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს (1571). |

*) ძველ-მფარველად.

*) ედილში (ვოლგაში).

| | | | |
|---|---|---|---|
| ვითარცა მზე, სწორ პატივობით ყოველთა ზედა განუტევებდა ნათელსა თვისთა შარავანდედთასა. | განმბანელ შვილთა ემბაზისათა (56). | | მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან (43). |
| იხოკდის ლაწვთა კელითა მულლაზაროვანთა და წყარო სისხლისა უსწრობდა ნაკადულსა ცრემლთასა (276 ძლიით დაარწმუნეს(თამარი) ალსლვად და ამალლებად საყდართა (ტახტზე) და საჯდომთა მამაპაპურთა (277). | თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა (ტ. 2). ვარდზედ გაშლილო ყორნის ბოლოო, ქმნილო სუნნელთა მოსაფრქვეველად (100). | თამარის ლაწვი მწყაზარი, ამულლაზარი... აწ თამარ ჩნდების გამთავრებულად (3, 6). ლაწვ მულლაზარობს (45—47). | ქალი მზეებრ უჭვრეტს ყოველთა. ქალი სტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა. ამად სტირს: მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ელირსებოდა (45—47). |
| შეიქმნა მშვიდობა, ერთობა და სიხარული, რომელი არაოდეს ვის უხილავს და სი- | ვხედავ მარტოსა გაშლით მა რტოსა, გვართა მთავრობით ზესთ საჩინოსა: კაცთა | | ავთა მქნელნი დააშინეს: კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს, შიგან მათთა საბრძანისთათჳს |

| | | | |
|---|---|---|---|
| ტყვისაებრ წინასწარმეტყველისა: ერთბამად მოვიდოდეს ლომი და ხარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთათანა და მგელი ცხოვართა თანა. და განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირსა ქვეყანისასა (297). | მკოდვისა, შეიწრებისა არ მომთმინოსა (59), ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი, მეწდე სიტყვათა სიმართლისათა (47). | | და მგელი ერთგან სძოვდეს (1571). |
| ბჭედ ჯდა შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა; არა მიშვებად ბრძოლისა, არცა გარდადებად ულლისა ძლავრებისასა ურთიერთას. ამისთვის მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა - შორის (283). | ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი, მეწდე სიტყვათა სიმართლისათა (47). | | ტარიელმა უთხრა თინათინს: „შენ დაჯე, სწადიან ბჭეთაბჭეთასა, დღეს ტახტი შენი შენ გმართებს, ლომი ლომთა დაგისვა გვერდსა მზეთა მზეთასა“ (1518) |
| დავით მოყმე, მსგავსი პირველთა გოლიათთა და | დავით ძლიერი, მხნედ საშინელი (6). აწ ესე ლომი | დავით ძლიერი, მხნე, უძლეველი (80), ლომე- | ქართველთა ღვთისა დაგათის, ვის მზე მსახურებს |

| | | | |
|---|---|---|---|
| დიდებულთა ბუმბერაზთა ამის სამეფოსათა (302).<br><br>მსგავსი ეფრემიანისი (302). დავით ძეებრ ეფრემის მოისარმან (310). დავით მოყმე ეფრემის ძეთაგან (291). | მისთვის (თამარისთვის) ალეგო კეთილ სახმარად (21). | ბრ შემძახებარე (32). თამარ, გტრფიალობს ლომი „აბესალომი“ რომელიც ნებროთს სჯობს ძალათ (90). დაასკვნეს ომი, წაუძლევა ლომი დავით (14). **ლომთა** თავადი (44). გაიჭრეს ველად, სადგურად ჰქონდეს ლომთა შამბნარი (59). ეფრემს თვისობს (34) ოს-დიდი დავით (32) ეფრემის ძირთა ამორჩებული (8), ეფრემის ძირთა ისართა მთლელი (75). | სარებლად... ვის შვენის **ლომსა** ხმარება შუბისა, ფარ - შიმშერისა მეფისა მზის თამარისა (3). ლომი ავთანდილ. მოდი ლომო (130). კლავ მაგარი, ვითა გმირი. გოლიათი ლომი **ლომთა** (1518 ლომი მინდორს ლომთა თანა რული (674) ავთანდილ, ვითა ვეფხი და ლომია (57). |
| რჩეული ღვთისა დავით.. მკვიდრი საყდრისა ამის (292). | დავით გიწოდა თვისად მკვიდრობა79 | ცითა ნაწოდებს დავითს უწოდა მეფეთა ძებად (100). | ქართველთა ღვთისა დავითის (1573). |
| | ალვისხე ტანი (9) დავით. | | ტანად ალვისა ხიანი (821) ავთანდილ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| გონება უხმს ვრცელი და ენა ბრძნად მეტყველი, რომელმანცა შეუძლეს ღირსად აღწერა თამარის საქმეთა (291). | ბრძენთა ბრძენნი ვერცკი მისწვდებიან თამარის ქებას აგრეთვე სოლომონ ბრძენიც. ამათვერა დამატონ ქება ძალისა (105) და მე კი თქვენ ქებას ვერ ვუძლე, ვიქმენ ენა ბრგვნილობით (107). | სოკრატ, უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ, ვერა მიხვდენ საწადიერსა (ტ. 1). მწადდა გრძნობა ვრცელად განბრძნობა, გარნა ვერ ვეგები პლატონისებრ შენასხამისად (84) | ბრძენი ჰხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული (33) მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა ჰხამს აქებდეს ენა ბევრი (676). |
| მზე ქართლისა (335), მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა ელვარება, მზეებრ მაშუქებელი სხივ კამკამებათა (277). | ეგრეთ ინახის, ვით მზე სამყაროს მანათობელი, მთვარის მშვენობით, ცისკრის მთენობით სხივმკრთოლვარებით მკამკამებელი (45). | მზედ გხმობენ არსნი (23). მნათი, არემთენი, სხვათა მნათობთა ჩინდ მკდოვნებად (26). | მეფისა მზის თამარისა (3). ქართველთა ღვთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად. |
| მზე მზეთა და ნათელი ნათელთა (295) | | | მას ავთანდილ თაყვანისცა, ლომთა ლომმან მზეთა მზეთასა(667) |
| თამარ, პირი იგი ეთეროკანი და უკიმირო ჰაერი და | ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი (3). ნათალდ | ელვა ეთერი (21). შენი თავი სჩანს შუ-პლ -ჳნაელვე- | რომელსა ვერ მზე ჰგავს, ვერ ეთერია (283) პირი მისი |

| | | | |
|---|---|---|---|
| უმრუმო ნათელი (276). | ბნელისა, გარდმოფენილისა, ეთერთა ელვად დასახებულსა (76). | ბად (47). | უნათლეა ზესთა მზესა (667). |
| მზეებრ შუქთა მფენი (291). | მზე დაუვალი (72), მზე ციერი (97), მზედ სახოვანი (11), სწორად არს მზისა (13). | მზე დაუვალი შუქ-მფინარი (21). ჰფენს შუქთა მზეებრ გათენებულად (54). | თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა. |
| თამარ პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელმფენითა (303), ნათელი უმეტეს ხილულისა ნათლისა (337). | აკრთობს ალვათა არეთა მთენი, ცისკრის ქებული (68). | მზედ ეგებოდა ეგ თქვენი პირი გაცისკრებულად (52). იცისკარებით ი ცისკარებით (47). | პირი მისი უნათლეა ზესთა ზესა (667). |
| ნათელ ბრწყინვალე, თვალი ულამო და დღე უუკუნო (287). | მარტივად ბრწყინავს თვალი სოფლისა (71), სამყაროს ნათლად, არა თუ ღამედ (74). | ღამე-დღე ჰყო: ჰფენს შუქსა მზეებრ გათენებულად (54). | ანათებს დღესა მზიანსა (190). სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული (33) |
| შარავანდნი თამარის ნათელთა ბრწყინვალებისა | მზეს ბრწყინვალება შენგან მიეცა (58). ვით მზე | ეგე ნათელი რა ნახეს, მზესა აქვს ბნელოვნებად | ელვისა მსგავსად შვენოდა, მთვარესა მისთა შუქ- |

| | | | |
|---|---|---|---|
| ეფინებოდა იატაკსა ამის მიწისასა, ვინაცა შარავანდნიცა მზისანი მისცემენ ნათელსა ხედვად და განცდად მზისა (289). | დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა (33). | (27, 53). | თაგან უკუნი გარდაჰფენოდა (122). |
| სიმაღლე შეუსწორებელი (336). | ციჳრთ უმაღლე (45). | სიმაღლით ცებრი (22). | |
| შვიდ მნათობიერი, ვითარცა მზე, კრონოს, აფროდიტე, ერმი, არეა და სხ. შვიდთა მნათობთა შეასახა სფერო მიწიერი (278 | სუფევს მზიანად შვიდთა მნათობთა გარმოზღუდვითა (17). | ზეციერად ჰგავ შვიდთა მნათობთა დამშვენებელად (4), შვიდთა მნათობთა მანათობელი (71). | მზეო, ღმერთმან ზეზედ დაგბადა, მით გმორჩილობს ზეციერი მნათობია რაც სადა (134). |
| მეძიებელმან სასუფეველისამან და ზენასა სუფევისა მოსურნემან აღიფრინა ზე (278) თამარს ზე აქვნდა გონება, აღემსჭვალა საცნობელნი ზენასა მის ხვედრისა მიმართ (290) | მართებს რომ ცამცა ჰქონდეს მასცამცა სახლად სამყოფად განჩინებული (68) | რადგან ცად ახვალ (110), ზევსმან.. ზეცას გზა გიქმნა (55). | სახლ-სამყოფი არა ჰმართებთ, ცამცა გაიდარბაზესა (667). |

ზესთა აღემაღლა გონება და, ფრთოვან ქმნილი სულითა, იშვებდა (290).

სატურფო საკვრეტი ვიდრე დაბნედამდის (282)

მკვრეტელთ შემწველ ჰყოფ (54). ეტყოდეს გულსა მისთვის დაგულსა: რადგან დაებით, ზარემ სულ ებით (67).

გიკვრეტდეს გარეტებულად (53). მკვრეტნი ვინ იყოს სხვა დაუწველად (47 ანატრებ განხოს, ვინ განაძ ლევად (47).

მან მისთა მკვრეტთა წაულის გული, გონება და სული (33). ავთანდილ რა მიიახლის დაბნედად (813).

გამცდელ მხედთა შეიპყრობდის წყალ - ჯავარითა უმაგალითოით (282).

წამწამ ისროდის, ვერ განქაროდის მზენი ლახვართა მისთა სროლობით (67).

მე რომ ვხედვიდი წარბ, წამწამთაგან თქვენგან მონაზუქარსა! (114).

შავნი წამწამნი — გულის გასაგმირონი (123).

გამიჯნურებულმა... რამინისებრივი აჩვენა თამარს ცრემლთა ნაკადი (289).

გვრიტთა მართვისა თვარ აქვს ვისა თქვენებრ სურვილი მეუღლობისა (62).

რამინს უშენოდ სტკივის: უშენოდ შვრებოდა ვისის ნამიჯნურევად (42).

ნუ ექვს მიჯნურად მათებრსა ნუმცა რამინს და ვისსა (1519).

ბრძენმან თამარ (288). საუნჯეა სიბრძნისა, სახიერი და ბრძენი; თამარ სახიერი იყო და ბრძენი; სიბრძნესა და მეცნიერებასა

ბრძენთა სხნისა (20). სიბრძნისა სირად (26) მოგვფენს სიბრძნესა (63) რიტორი ბრძენი (4), სიბრძნისა ვაზი (99); სიბრ-

სიბრძნითა სავსი (46).

ქალი ბრძნად მოუსმინებდა (20).

| | | | |
|---|---|---|---|
| მისსა . . . (281). ნარნარად, მშვიდ და წყნარად მეტყველებანი და სიბრძნით შეპასუხობანი(284). | ძნისა ზღვასა თამარ პირმშოსა (53). | თამარ წყნარი, შესაწყნარი,ხმა ნარნარი (24), მშვიდი, წყნარი (21). | |
| იწყო განგებად, ვითარ მოჰბერვიდა სული (279). | წმიდად აქვს სული, დასთა დასული, სამყაროს ნათლად, არა-თუ ღამედ (72). სიწმინდისაა ცხოვრების თვალი (55). | სამებად ქსული საუფლო სული მისთვის მოგბერა, არს თქვენი მცველი(80). | სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული (33). |
| (თამარისა ლაწვ ბალახშს, თმა გიშერისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგეკბილისა, ბროლ ბალახშისა თლილისა) (მელნად ვიხმარე გიშრის ტბა). | | გასახე თქვენ ედემის სახე მართ სამოთხისა მიახლებულად (52) მელნისა ტბებად გთქვეს დასახებად, გიშრისა სარნო (53) ლაწვთა არესა შუქნი მთვარესა მელნისა ტბანი დგანან მორევად (49). | წყლად ეფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული ალვა მჭერვი, ბროლ ბალახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტევრი (676). ედემს ნაზარდო (707). |

| | | | |
|---|---|---|---|
| იხილვებოდა მსგავსი სოლომონისი ჵ უმეტეს სოლომონისი სიბრძნით, შვენიერებით, მოესთლო სულნელება და შვება სამოთხის, ნარგიზოვნობა ივლისის ველის ნამორჩები (302). | | იტყვიან მნახნი, ხმა მაღლა მძახნი: „ივლისოს ველსა ჰგავს ნაჯუფთევად“ (49). | |
| | თამარ მეფესა ტანად საროსა (11). ალვისა შტოო (100). | ლელწამ ტანისა, სარო სახისა (7). | ტანო ლერწამო, ედემს ნაზარდო (707) ტანი ალვა, პირი მანგი (=მთვარე) (120). |
| | მეფევ მაღალო, ვარდზედ გაშლილო ... სუნნელთა მოსაფრქვევლად... შუქმფინებო (100). | თამარ წყნარი... ვარდშამბნარი, შამბ-მაღნარი ლაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი (24). | იყავ წყნარი და ცნობილი (48). უხარის შეყრა ვარდისა (121). თინათინ სტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა (47). დავყარენ ვარდნი (821). |
| სატურფო საჭურეტი ვიდრე დაბნელდამდის, გაჭ- | ეტყოდეს გულსა მისთვის დაგულსა: „რადგან | ჩემი მოყმე, ლომთა მოძმე გაიჭრეს ველად, სადგუ- | ავთანდილი წავიდა, შამბი შიგა გაირბინა (170). |

რა, გახელე-
ბამდის (282)
საჭირო იყო
მიჯნურნი,
მხეცებრ გა-
ჭრილნი ამის
მზისა (284).
ამისთვის ხე-
ლდებიან ყო-
ველნი (289)

დაებით, ბარემ
სულ ებით."
თავს აბრალე-
ბენ, — ვერ
აბრალებენ.
წამწამს ისრო
დის, ვერ გა-
ნქაროდის
მზენი ლა-
ხვართა მისთა
სროლობით
(67). ხილვა
მეფისა მჭვ-
რეტელთ ეფ-
ისა თვალნი
მალნიტზედ
ფოლადობი-
თა (18).

რად ჰქონდეს
ლომთა შამ-
ბნარი (59).

ლომი მინდ-
ორს ლომთა
თანა რული
(674).

ალებამძვა ზე-
ნასა მნათსა
ქვენა ესე მნა-
თი შვენებითა
სიბრძნითა მზ-
ეებრ უხვებით
მიფენად სწ-
ორებით მარ-
თალთა და
ცოდვილთა
(278). ყო-
ველთა ზედა
დაასხა წყა-
ლობა უხვე-
ბით: რათა
ჟამსა საქმე-
თასა ერთგუ-
ლნი ერთგუ-
ლობითა მა-
დლიერობდ-

ვარდთან და
ნეხვთა ვი-
ნათგან მზე
სწორედ მოე-
ფინების, დი-
დთა და წვ-
რილთა წყა-
ლობა შენმცა
ნუ მოგეწყი-
ნების: უხვი
ახსნილსა და-
აბამს — იგი
თვით ების,
ვინ ების, —
უხვსა მორჩი-
ლობს ყოვე-
ლი, იგიცა,
ვინ ორგუ-
ლია. უხვად
გასცემდი:
ზღვათაცა

ენ, ხოლო დრკუნი და განდრეკილ-ნი გულითა უსიტყველ იყვნენ მიგე-ბისათვის უშ-ურველად წყ-ალობათასა.

შესდის და გაედინების (49).

ბ) გარმიანეთი.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს გარმია- ნეთი, უცხოეთი, ე. ი. ინდოეთი, რომლის მეზობლად არის ხატაეთი, ზღვათა სამეფო, ქაჯთა სამეფო.

ა) ქაჯთა სამეფო. ამ სამეფოს შესახებ ჩვენ ზემოთ უკ-ვე ვილაპარაკეთ. ქაჯნი ჩვენ მივიჩნიეთ მულიდებად (ხაშიშე-ბად). ამირანდარეჯანიანში ეს ქაჯნი გრძნეულებად იწოდები-ან, ხოლო ამირანი გრძნეულ ქაჯებსაც ხოცავს. ეს ქაჯები და თვით ამირანი თანამედროვენია დავით სოსლანისა და თა-მარისა:

ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა
ალგეთის ჭალა გაექნა,
უძმოსა, უმამისძმოსა
ამირანს თავი მოეკლა.

მხარგრძელნი, ჩამომავლობით ქურთნი, მკვიდრობდნენ ალგეთის მიდამოს, სომხითში, გიორგი და თამარ მეფეების დროითგან.

ბ) ზღვათა სამეფო.

ესეა ზღვათა სამეფო
თვისა ათისა სავლითა,
თვით გულანშაროს ქალაქი
სავსე ტურფითა მრავლითა:
აქ მოდის ტურფა ყველაი
ზღვა-ზღვა ნავითა მავლითა;
მელიქ-სურხავი ხელმწიფობს
სრული სვითა და დავლითა (1043).

გულანშარო თურქული სიტყვაა: გულან-შაჰარ ვარდის-ქალაქი. შეადარე გულისტანი (Гюлистанъ)=ვარდისტანი, სავარდეთი. ამ ზღვათა მეფის სახელი მელიქ-სურხავი ეწოდებოდა აგრეთვე მელიქ-სურხავს, რომელიც უფლებდა შემახიას, შაქს და საზოგადოდ ბაქო-შირვნის მხარეს მეფე ერეკლეს ჟამს. ყოველ შემთხვევაში ეს სახელი ქართული არ არის. ამას გარდა, აქაურს დიდს ვაჭარს და მის ცოლს აგრეთვე ერქვათ მაჰმადიანური სახელები—ჰუსენი და ფატმან-ხათუნ, დიდ-ვაჭრის ცოლებსაც ხათუნები (ქალბატონები).

რომ ეს გულანშარო მაჰმადიანთ ქალაქი იყო, ამას უფრო ცხადად აჩენს რუსთაველის შემდეგი სიტყვები (ტ. 1099):

ამა ქალაქსა წესია:
დღესა მას **ნავროზობასა**
არცავინ ვაჭრობს ვაჭარი,
არცავინ წავა გზობასა;
ყოველნი სწორად დავიწყებთ
კაზმასა, ლამაზობასა...
დღე მოვიდა **ნავროზობა**,
დედოფალსა ძღვენი ვძღვენით...
გავატანე ხათუნები...

8. ნურადინ-ფრიდონის სამეფო მულღაზანზარი თურქთა მომხრეა (949). მისი სამეფო დიდი არ იყო. ნურადინ-ფრიდონ ეუბნებოდა ტარიელს (583).

ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგან
სიკეთე მიუწდომელი.
მამის ძმა და მამაჩემი
პაპა ჩემმან გაჰყვნა ოდეს,—
ზღვისა შიგან კუნძულია,
ჩემად წილად მას იტყოდეს.

ამ სომეფოს შესახებ მრავალი ცნობა მოჰყავს მოსე ხონელსაც თავისს ამირან-დარეჯანიანში. **თავი მეორე**: „ბადრი

იამანისძეო, ზღვათა მეფისა ასულისა გამოსაყვანებლად წადი“. „შევედით იმიერ ზღვისა **კუნძულსა**, ზღვითა მეფისა ქვეყანასა და ვნახეთ ზღვისა კიდესა ოციათასი სოფელი და ქვეყანა შეენიერი“. „გმირს ნოსარ ნისრელს წიგნი მოეწერა ზღვათა მეფესთან, ვითა: „მე, ნოსარ, მოვალ და შენსა ასულსა შევირთაო.“

ამ ნოსარს და ინდოეთის მეფე პიროსს, ალექსანდრე მაკედონელთან მებრძოლს, „თამარიანის“ ავტორი ადარებს თამარ-დავითს (ტ. 36).

ახალო პირო (პიროს),
მძლეო **ნოსარჯით**,
ბრძენმან მასახა:
„ასურ (=ოსური=ოსი) მაისო“ (მოისო);
მხნეო და გმირო,
ბობქოს ოხრითა
ითხრის, მგოდებმან
ფლასულ მაისო (ფლასი მოისხა).
ბობქარ მგოდები
დავითის ხლმითა
შემარცხვენალი (77)

აქედგან ავთანდილი რომ წავიდა, შემოხვდნენ მობალდადენი ვაჭარნი დიდის ლარითა და სიმდიდრით ზღვათა სამეფოს მოსულნი ეგვიპტით (1010). მათთვის მეკობრეებს გზა შეეკრათ. ავთანდილმა მეკობრენი დახოცა, ავთანდილი ვაჭრულად შეიმოსა, ზღვა გადასცურეს, გულანშაროს მივიდნენ, და იქ შეიტყო, რომ ნესტანი ქაჯებს შეუპყრიათ. ამას იგულისხმებს, ჩვენის მოსაზრებით, „თამარიანი“ (ტ. 61) როდესაც სატრფო ქალს ათქმევინებს მის მიერ გაგზავნილ გაჭრილ, გამგზავრებულ გმირის (დავით სოსლანის) შესახებ:

ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის
ფერად-ფერადი, მრავალი გვარი,
ჰყვანდის მოყმები, მონა, მხევლები,
თვალ-მარგალიტი, სუნნელ ამბარი.

და კიდევ (ტ. 57).

**მოზაღდადენი ბარდავს** მოვიდეს...
აქლემთა ტურფად, მძიმედ ტვირთვითა
მონა, მხევლები წინა უძღოდის
შეადარე (ვეფხ.-ტყ. 1010)
უსამ იყო ქარავნისა
უხუცესი, კაცი ბრძენი...
(ავთანდილ) გარდახდა. ჰკადრეს: „ჩვენ ვართ
**მოზაღდადენი** ვაჭარნი,
**მაჭმადის სჯულის** მჭირავნი,
აროდეს გვისვამს **მაჯარნი**,
ზღვათა მეფისა ქალაქსა
სავაჭროდ გარდმონაჭარნი.

**ბარდავის** ხსენებით „თამარიანი“ გვიახლოვებს **ზღვათა სამეფოს**, რომელიც, ამ შემთხვევაში, შეიძლება იყოს აღსართანის, თამარის პაპიდაშვილის, შარვან დარუბანდის სამეფო: „აღსართანი იყო მეფე მოვაკნისა და შარვანისა და **ზღვის პირისა** დარუბანდით ხილხალამდის“ (ვართაშნამდის) (ქ. ცხ., გვ. 272). დარუბანდის ყელს ხომ ერქვა **ზღვის კარი**.

**დ. ინდოეთი.** ინდოეთის სამეფო, ვითარცა სამეფო ღაზნელებისა და სელჩუკიანებისაც, შვიდ სამთავროსაგან შესდგება. ამ სამეფოებ შორის მტკიცე კავშირი არ არსებობდა, ამიტომაც აქაური მეფე ფარსადან კეისარს ვერ ედრებოდა.

სხვად პატრონია, მართ ოდენ
არა აქვს კეისარობა (306).

ფარსადანის ერთად ერთი მოგვარე და მემკვიდრე (ტ. 308) არის ტარიელი, ძე სარიდანისა ისე, როგორც ტოღრილ სულტანია უკანასკნელი წარმომადგენელი სელჩუკიანთ გვარში.

ინდოეთის მოსამზღვრეა ხატაეთი, რომელსაც განაგებს **ხანი** რამაზ (ტ. 406). ეს ხატაეთი ინდოეთის მოხარკეა.

ხატაეთს მყოფნი ყველანი
ჩვენნი სახარაჯონია (364).

ინდოეთს არა ჰყავს ერისთავები, ხევისბერები, არამედ, როგორც ძველად საქართველოში, იქ ისევ მრზაპანებია (388). ამ სამეფოს მოსამზღვრევეა ხოვარეზმი, კასპიის ზღვისა და არალის ზღვის შორისი ქვეყანა, საცა მეფობენ ხვარაზმშანი მე-XII საუკუნის მეორე ნახევრიდამ.

ნესტანდარეჯანსა და ტარიელს გარს-ახვევია **მაჰმადიანთ ზეამი**.

ა) ტარიელი ამბობს, ავად რომ გავხდი და დავბნდიო, მაშინ (ტ. 339):

> სრულნი **მუყრნი** და **მულიმნი**
> მე გარეშემო მცვიდიან:
> მათ ხელთა ჰქონდათ **მუსაფი**:
> ყოველნი იკითხვიდიან.

**მუყრი** მაჰმადიანთ მოლაა, **მულიმი** არაბთ სწავლულია, **მუსაფი** კი ყურანია. ამ ყურანს ყველა ესენი მიკითხავდნენო. დღესაც თათრობა-მაჰმადიანობაში ყურანს უკითხავენ ხოლმე ძნელ ავადმყოფებს.

ბ). თვით ტარიელს სპარსთა ძველ გმირებივით ვეფხის ტყავი (კაბა) აცვია.

გ) ქალი ინდოეთში კარჩაკეტილია, მოფარდაგულში ზის და არავის ენახვება, მამაკაცისა სცხვენიან. რიდით იმალავს თავის პირი-სახას.

დ) ნესტანს „ზურგით უდგას ჯარი **ხადუმთა** დასდგსად“. „მას ვერვინ ვხედავდითო“, ამბობს ტარიელი. „ჰხამსო, ამბობდა ნესტანი, ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა“.

ყველა ეს უცხოა საქართველოსთვის და შეუფერებელი: ქალი საქართველოში არ იმალებოდა, ჩადრში არ ეხვევოდა; მათ დასაცვავად **ხადუმებს** არავინ არ აყენებდა, „ამირბარისა“ არა სცხვენოდა. თამარ მეფე ხომ აშკარად ამხილებდა თავისს ქმარს (რუსს) და საჯაროდ ეუბნებოდა, შენთან არ მიძლავს ცხოვრებაო. ქალს საქართველოში დიდი ფასი ედო მედიას დროითგან. ეს მედია, შემდეგ ლადამი (დედა სახელოვანის

რადამისტისა), აბეშურა, შუშანიკ, მარიამ (დედა ბაგრატისა), და თამარ მეფე სახელოვნად ხელმწიფობდნენ ივერიაში. აქაური ქალებივე ჯერ თამარ მეფემდე ხელმწიფობდნენ ბიზანტიას, ერაყს, შირვანს, ოსეთს და რუსეთს (1154 წელს). ქალმავე შემოიღო ჩვენში ახალისჯული. ქალი აქ მამაკაცს სჭარბობდა, მამაკაცზე უფრო პატივცემულ იყო ძველის ძველთაგანვე, ვითარცა სჩანს ლექსებიდამ: **დედ**-მამა, **და**-ძმა, **დედულ**-მამული, დიასახლისი და სხ. მდედრობითი სქესი წინუძღვის მამრობითს.

ნესტანის საქმროდ ინდოეთის მეფე დედოფალი თავმდაბლად და დიდის ხვეწნით შვილს თხოვდნენ ხვარაზმშას ხვარაზმისას. საქართველოში კი ასრე არ იყო, პირიქით, **ხვარაზმშას-ათაბაგ-სულტნის** შვილი ამირ-მირან თვითონ დიდის მუდარით ითხოვდა ქართველ მეფის ასულს მთელის სპარსეთის დედოფლად, მაგრამ თხოვნა მისი თამარმა არ შეიწყნარა, თვისი ასული რუსუდან არ გაიმეტა (ქ. ცხ.. 301).

XV. **დასკვნა.** დავასრულეთ ჯერ კიდევ არა სრული განხილვა. ვით თინათინ—ავთანდილმა გამოაგეს საქმე ტარიელისა, ისე თამარ-დავითმა გამოაგეს თვისი საქმეც. ავთანდილი დაეხმარა ტარიელს და დაიხმარა ტარიელი, სოსლანმაც მოიძებნა მოკავშირენი და გულის წადილი შეისრულა. იგი დაეხმარა ათაბაგ-სულტნის შვილს ამირმირანს და მას დაუმკვიდრა ადარბადაგანი. ეს ამირმირანი დედით გერი შვილი იყო ტოღრილ სულტნისა, სელჩუკიანთ უკანასკნელ წარმომადგენელისა. იგი რომ შემწეობის სათხოვნელად მოვიდა საქართველოში, ტოღრილი უკვე სულტანი იყო. რომ ეს გაასულტანეს თამარმა და დავითმა, სჩანს „თამარიანიდამაც“ (ტ. 101):

ჯაჭვ-ჭურთა მფქველი გამოჩნდა ქველი
და აქილევთა დაუწყო ძლებად:
მიწყივ ომითა დაუშრომითა
თურქნი განასხნა დაუყოვნებად.
მან ათაბაგსა ხვარაზმშას მეფსა
კეთილ განრჩევით სჯულთუდვა მცნებად.

კაცი ძლიერი, მხნე, მეცნიერი
შემძლე მალიქსა თვალთა ფერებად.
თვით ბრძენი სწუართა, მათ მოამართა
მისდა დიდებად გასულტანებად.

ამ გასულტანებას ნათელს ფენს მე 63 ტაეპიც იმავე „თამარიანისა“:

მოვლნის სპარსეთი; სხვა ქმნის ასეთი:
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი,
იგავნი უთხრნის, მეფენი უქნის,
მათდავე სწორად მათი ლაშქარი!

და ამ სულტნის ნახვამდის კი (ტ. 62)

მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,
მოძებნის მთვარე
შიშ-ჰაერ პირი მნათობი დარი;
მოჰყვანდის ქალი საჩემო სძალი...

ლაშქრის და მეფეების ქება რად დასჭირდა, თუ არა იმად, რომ ეს 80,000 ქართველთა მხედრობა ბოლოს გამოადგებოდა ინდოთ მეფე ტარიელს ინდოთა ტახტზე დასაჯდომად და მასზე დასამაგრებლად? თუ ინდოეთში მშვიდობიანობა იყო და ინდოუთის ტახტი დაცლილი იყო, თუ ტარიელის იქ მისვლის მეტი საჭირო აღარა იყორა, ამდენი ლაშქრით გაცილება რაღად მოუნდათ? საქმეც ის არის, რომ ინდოეთიდგან გაქცეულს ტარიელს დაედო სისხლი ძლიერის ხვარაზმშას შვილისა, რომელიც მან მოჰკლა. უეჭველია, ეს მძლავრი მეფე ჯავრს ამოიყრიდა და მოხუცს ფარსადანს მიესეოდა და მის სამეფოს შეიერთებდა. ისტორიულ ცნობებითაც ასრეა: ხვარაზმშაებმა სელჩუკიანთ სამეფოები მთლად დაიპყრეს. ტარიელი ინდოეთს ველარ ნახავდა, თუ ამ სამეფოს კანონიერ მემკვიდრეს ნესტანს, ქაჯთაგან გატაცებულს, არ იპოვნიდა, მძლავრს შემწეს არ გაიჩენდა და დიდის რიხით და ძლიერებით არ წავიდოდა ინდოეთისკენ. ეს მოახერხა მან. შეიტყო-რა, რომ ნესტანი ქაჯეთის ციხეშია დამწყვდეული, შეირჩია ისეთი დრო, რო-

დესაც ქაჯთა მეფე და მისი ლაშქარი შინ არ იყო, მცირე რაზმით დაეცა ქაჯეთის უძლეველს ციხეს, ნესტანი გამოიტაცა და წამოვიდა ჯერ ფრიდონისას და მერე ფრიდონითურთ ავთანდილისას, თვითონ შეირთო ნესტანი, ავთანდილს შერთო თინათინი და 80000 მხედრით წავიდა ინდოეთს, საცა უწინააღმდეგოდ გამეფდა.

და რუსთაველიც ამბობს:

1) ესე ამბავნი უცხონი
უცხოთა ხელმწიფეთანი,—
პირველ ზნენი და საქმენი,
ქებანი მათ მეფეთანი,—
ვპოვე და ლექსად გარდავსთქვენ,
ამით ვილაყფეთანი.

ვინ იყვნენ ეს უცხო მეფენი? ესენი იყვნენ: ტირიელ, ნესტანდარეჯან, ფრიდონ. თუ ესენი, როგორც უკვე შევნიშნეთ, ყოფილიყვნენ რომელიმე სპარსულ რომანის ანუ მოთხრობის გმირნი და ანუ ეს ტარიელ, დარეჯანი და ფრიდონი ყოფილიყვნენ თამარის **წინა დროის** მეფენი, მათაც ქართლის ცხოვრება უეჭველად მოიხსენებდა იმ სიაში, რომელშიაც ჩამოთვლილია ძველი დროის მოთხრობათა ყველა გამოჩენილი გმირი, „გაჭრილი“ თავის საყვარელისთვის. ასეთ გმირებად თამარის „პირველ ქმრის ამბავში“ დასახელებულნია მხოლოდ შემდეგნი: **თაჭმთა** (გაჭრილი) თანიმანისთვის, **ამირან** ხვარაშანისთვის, **ხვასრო-შანშა** ბანუმისთვის, **მზეჭაბუკ** მზისათვის ხაზართასა, **ბოლქემში** იპოლამისთვის, **პლატონ** პერსეფონისთვის, **რამინ** ვისისთვის, **შარიარო** ოსნაოზისთვის, **ბადბერ** აჲალათისთვის,*) **იაკობ** რაქაელისთვის, **იოსებ** ასანათესთვის, **დავით** ბერსაბესთვის და აბისაკისთვის. ამათზე ნაკლები არ იყო ტარიელი და ამათზე ნაკლებ არ იტანჯა თავის ნესტანისთვის. თუ ეს ტარიელი, ვიმეორებთ, თამარის დროის ისტორიული პირი არ ყოფილიყო და, პირიქით, ყოფილიყო

---

*) ესენი უნდა იყვნენ შ ა ტ ბ ი ე რ ი და ა ლ ა თ ი (თამარიანი“, ტ.43),

სცარსთა ძველი დროის რომელიმე რომანის ანუ მოთხრობის გმირი, მასაც ჩვენი მემატიანე აღნიშნავდა ამ გამოჩენილ გმირ-მიჯნურთა სიაში.

2) ქართველთა ღვთისა დავითის,

ვის მზე (თამარ) მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე
თამარს ვაქებდეთ მეფესა
მას ვაქებ, ვინცა მიქია,—
ესე მიჩნს დიდად სახელად...
მისი სახელი შეფრქვევით
**ქვემორე** მითქვამს, მიქია (ტ. 26).

„ქვემორე“ კი აქებს თინათინს, მაშასადამე ეს თინათინი არის თამარი, რადგან ზემოთ უკვე მიგვიწვია „თამარს ვაქებდეთ მეფესო“ და „თამარიანშიაც“ გვითხრა, „ჩახრუხაძეს ექო თამარ მეფეო“, ხოლო მისი სიმეტე თინათინი აწ მე უნდა ვაქოო, აი ეს თინათინი და არა ის თინათინი, რომ არაბეთს იყო სულადიანიო.

ვის შვენის ხმარება
შუბისა, ფარ-შიმშერისა
მეფისა **მზის** თამარისა?
მას, არა?—ვიცი, შევკადრო
შესხმა ხოტბისა ხშირისა!

ცხადია, ავქსონი აქ იგულისხმებს დავით სოსლანს, ვითარცა იმ ტაეპშიაც, საცა ამბობს: ქართველთა ღვთისა დავითის, ვის **მზე** მსახურებს და სხ.

კიდევ ვინ არიან შექებულნი? ისინი, რომელთა შესახებ მგოსანი ამბობს:

მათ სამთა გმირთა მნათობთა,
(რომელთა) სჭირთ ერთმანეთის მონება,
ტურფადცა უნდა ხსენება.

სადაურია

„აქამდის ამბად ნათქვამი,
აწ მარგალიტი წყობილი“?

ქართული იქ, საცა თინათინ-ავთანდილზეა ლაპარაკი, თურქულ-სპარსული იქ, საცა ტარიელსა და დარეჯანზეა მოთხრობა.

—

„თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი" მიმადლებული თემაა დასაწერად დიდის გამოკვლევისა, მით უმეტეს, რომ სულ ცხრა წელიწადი-ღა წინ გვიდევს შვიდას წლის შესრულებამდე თამარ მეფის სიკვდილის დღიდამ († 18 იანვ. 1213 წ.). ჩვენ მარტო ოდენ დავსახეთ მოკლე გეგმა. დიდის თხზულების დასაწერად საჭიროა მიუდგომელი შესწავლა თანამედროვე მაჰმადიანთა, ქართველთა, ბერძენთა და სომეხთ წყაროებისა, ყველა ამ წყაროების დალაგებით გამოძიება, გამორკვევა და გამოცემა.—აუცილებლად საჭიროა, ცალკე გამოიცეს მასალები (მაჰმადიანთ ისტორიკოსების ნაწერები) შესახებ ლაზნელთ, სელჩუკიანთ სულთნებისა და ხვარაზმშაებისა და ცალკედვე ქართულ წყაროებისა შესახებ თამარ-მეფისა და მისის მშობლისა. ამ უკანასკნელს გამოცემაში უნდა შევიდეს ა) მემატიანეს მიერ მოთხრობილი ისტორია გიორგი III-ისა და თამარ მეფისა, ბ) აბდულმესიანი, გ) თამარიანი, დ) ვეფხის-ტყაოსანი, ე) თანამედროვეთა მიერ გამოცემული სიგელ-გუჯარნი და წარწერები სხვა-და-სხვა წიგნებისა, შენობებისა, ფულებისა და ვ) ლეგენდები. კლასიკური თხზულებანი (აბდულმესიანი, თამარიანი და ვეფხის ტყაოსანი) უნდა გამოიცეს სრულის ვარიანტებიდამ და ისე, რომ წვრილის ასოთი თავთავის ადგილას დაიბეჭდოს მეუნარგია-მაჩაბლის საპატიო კომისიის მიერ ყალბად მიჩნეული ტაეპები, რათა მკვლევარს შეძლება ჰქონდეს გაჩხრიკოს, ამ „ყალბ" ტაეპებში ხომ არ არის დაცული ესა თუ ის ისტორიული ცნობა და ამბავი. ამავე გამოცემებს უნდა დაერთოს სრული ლექსიკონი არა თუ მარტო ძველ და ძნელ სიტყვებისა, არამედ ყველა სიტყვებისა და აგრეთვე ადამიანების, ქალაქების, სამეფოების, მთებისა და ზღვების სახელებიც. რაღა თქმა უნდა, რიცხვი ყველა ტაეპთაც უნდა აღნიშნული იყოს ცალკ-ცალკე. წინა თუ უკანა

947.922 (093)
ჯ 202



სიტყვაობა ამგვარ გამოცემათათვის სრულიად საჭირო არ არის: ერთსაც და მეორესაც შეუდგენენ თავიანთ გამოცემებსა და თხზულებებს მომავალნი მკვლევარნი. სწორედ დროა, ჩვენც შევუდგეთ საქმეს, ჩვენც მოვკიდოთ ხელი ჩვენთა მამაპაპათა მიერ შექმნილ მდიდარ კულტურის შესწავლას. მრავალი ჩინებული შენაძენი დაგვეკარგა, მრავალი დაიპარეს, მრავალი შემუსრეს, მრავალს ამტვრევენ, ანგრევენ და ამ ნანგრევებში იმარხება მდიდარი წარსული. ყოველმა დიდებულმა თითო მარჩილი და ყოველმა მცირებულმა თითო უზალთუნი რომ მოაწოდოს წ. კ. საზოგადოებას, ის მაინც შეიკრიბება და შეისწავლება, რაც გადაგვრჩენია. მაშ საქმეს შევუდგეთ!

**მ. ჯანაშვილი.**

1902 წ. 17 სეკდ.

# ბიბლიოგრაფია

И. И. Калфоглу. Родословная грузинской царицы Тамары.

თურმე ბერძნის მწერლებს და მათ შორის კალფოღლუსაც თამარ მეფე მიაჩნიათ ბერძნად, ანდრონიკე I-ის კომონიანოსის († 1185 წ.) ასულად. ამისთანა ზღაპრის ჭეშმარიტებად ჩათვლა თანასწორია იმისი, რომ ჩვენ, მაგალ., ვამტკიცოთ, მზე მზე-კი არა, მთვარეაო. ქართველთა მემატიანე—თანამედროვე, თამარ მეფის ისტორიის შემადგენელი, მას უწოდებს მხოლოდ-შობილ ასულად გიორგი მესამის დიმიტრისძისა. სიგელ-გუჯრებში ეს დედოფალი თავის თავს სთვლის ბაგრატიონად, ასულად გიორგი მესამის დიმიტრისძისა. ამასვე გვაუწყებენ სიგელნი მისის დიდებულებისა და ეპისკოპოსებისა, აგრეთვე წარწერანი ტაძრებისა, რომელნიც აუშენებია საქართველოს დიდებულს მეფეს. ეს კიდევ არა კმარა. მისმიერ მოჭრილს ფულებზე წარწერილია ასრე: „დედოფალი მაღალხარისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, შემდეგი მესიისა. ადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი“.

ასრეთია საბუთები დაურღვეველი, მტკიცე, ჭეშმარიტი. და ამის შემდეგ ჩვენი თანამედროვე ბერძნის ისტორიკოსები, ვიმეორებთ, მაინც ამტკიცებენ და არწმუნებენ თავიანთ მკითხველებს, რომ თამარ მეფე ბერძენიაო! მაგრამ ეს ჩვენ არ გვაკვირვებს: ყველა კარგს ძველი ბერძნები მიუთლიდნენ ხოლმე ელლინებს და ცუდს—ბარბაროსებს, რადგან ეგონათ,

„ბარბაროსებს“ (არა ელლინებს) კარგის შექმნა არ შეუძლიანთო, შვენიერების შემოქმედობა ძველათგანვე ბერძნის გენიოსობის საქმეაო. აღმოჩნდა კი, რომ საკმაო წილი იმ ძველ კულტურისა, რომელსაც ბერძნის მწერლები სთვლიდნენ „ელლინებისად“, შექმნილი ყოფილა არა-ელლინებისაგან, არამედ ელლინების ნიადაგზე გადარგულა აღმოსავლეთიდამ. და ჩვენი დროის ბერძნის ისტორიკოსებიც, სჩანს, ჯერ ვერ გამოსთხოვებიან ცრურწმენას შესახებ ელლინთა უპირატესობისა და სხვა ხალხთა ბარბაროსობისა, თუ-არა-და იგინი ვერ გაბედავდნენ, წინააღმდეგ ზემო აღნიშნულ უტყუარ საბუთებისა, აღეძრათ კითხვა, რომ, ვითომ ბერძენი ყოფილიყოს თამარ მეფე, დედოფალი, რომელიც ყოველს თავის ნამოქმედარში, ყოველს სახელმწიფო მიწერ-მოწერაში თავისთავს უწოდებს ბაგრატიონად, გიორგი მეფის და ბურდუხანის ასულად, და რომელიც, ამასგარდა, ეკლესიების კედლებზე გამოხატულია თავის მამისა გიორგის და დედის ბურდუხანთან ერთად. ცხადია, ბერძნის ისტორიკოსები არ ენდობიან ქართულს წყაროებს, ვითარცა, ალბად, „ბარბაროსულებს“, და თავის „ისტორიას“ კი აფუძნებენ ბიზანტიურ წყაროებზე, რომელნიც, როგორც დავინახავთ ქვემო, მათ ვერ გაუგიათ ანუ არ სდომებიათ, რომ გაეგოთ ჯეროვნად.

1. კალფოღლუ ამბობს, ანდრონიკე კომონიანოსი მოვიდა საქართველოში 1183 წელს თავის სიძე მეფის დავით მესამისას, რომელმაც შეირთო თამარი, ამ ანდრონიკეს ასული, 1165 წ. წინადო. გარნა ჩვენ ვიცით, რომ დავით სოსლანმა შეირთო თამარ მეფე, გიორგის ასული, არა 1165 წელს, როდესაც ჯერ იგი იყო სულ 9 წლისა, და არც ამ წლის წინად, არამედ შემდეგ პირველის ქმრის განდევნისა, 1192 წელს. ამასგარდა, თამარ მეფის ქმარი იყო არა მესამე დავითი, არამედ მეხუთე. შეიძლება ვიფიქროთ, თუ საქართველოს რომელიმე მეფე, წოდებული დავითად, იყო სიძე ანდრონიკე კომონიანოსისა, ეს იქნებოდა მხოლოდ დავით მეოთხე დიმიტრისძე, რომელმაც იმეფა მხოლოდ ექვსი თვე

(1155 წელს). ქართული წყაროები არ ამბობენ, ვინ იყო ცოლი ამ დავითისა, თამარ მეფის მამის გიორგის ძმისა, გარ-და გვაუწყებენ, რომ ამ დავითს დარჩა შვილი დიმიტრიო, რომელიც, როგორც ვიცით, დაიღუპა (1177 წ.) მისს ბიძა გიორგისთან ბრძოლაში და ტახტი მიერგო თამარ მეფეს.

ბერძნის წყაროები ამბობენ, ანდრონიკეს ჰყვანდა ასული, რომელსაც ერქვა **თამარიო**. ეს თამარი შეიძლება ყოფილიყო მეუღლე დავით **მეფისის** დიმიტრისძისა და დედა მემკვიდრის დიმიტრი დავითისძისა და ეს დაქვრივებული დედოფალი თა-მარი ბერძნის მწერლებს მოსჩვენებოდეთ თამარ მეფედ.

2. ქართლის ცხოვრება იუწყება (გვ. 272). „დავითია-ნობა და სოლომონიანობა ამასთანა (თამარ მეფის მამა გიორ-გისთან) ცხადად იხილვებოდა: ამასცა სოლომონისებრ ჰმონე-ბდენ ყოველნი მეფენი ქვეყნისანი და ძღვენის მრთმელობდენ წინაშე მისსა, რამეთუ მოვიდა ოდესმე წინაშე ამისსა ანდრო-ნიკე კომონიანოსი ცოლითა, სახე შვენიერითა და ბრწყინვა-ლითა*), თანა შვილებითა და დისწულითა,—მამის ძმისწული დიდისა მანოელ კეისრისა (1143—1180), და ვითარ ჰმართებ-და, ეგრეთ შეიწყნარა და მისცა პატივი შესატყვისი სახლის შვილობასა მისისა, და მისცნა ქალაქნი და ციხენი კმასაყო-ფელნი მისნი, და დაუდგინა საჯდომი სიახლესა საყდრისა თვი-სისასა, პირისპირ მამის დისწულისა თვისისა ალსართანისა, რო-მელი მეფე იყო მოვაკანისა და შირვანისა და ზღვის პირისა, დარუბანდით ხილხალამდის**)“.

ეს ანდრონიკე, ერეკლე მეფის მიერ შედგენილ თავად აზნაურთა სიით, ითვლება წინაპარად ანდრონიკაშვილებისა, მოსრულისა საქართველოში 1144 წელს.

---

*) მეუღლე ანდრონიკესი იყო თეოდორა, ქვრივი ბალდუინ III-ისა იერუსალიმის მეფისა.

**) ეს ალსართანი იყო შვილი გიორგი მეფის მამიდის თამარისა, დავით აღმაშენებლის ასულისა, და იგი „მეფესა (გიორგის) უჩნდა ვითარცა შვილი“.

ეს 1144 წელი უნდა მივიჩნიოთ წელიწადად თამარ ანდრონიკეს ასულის მოსვლისა საქართველოში, თუ იგი, ვითარცა გვაუწყებენ ბერძნის მწერლები, იყო მეუღლე დავითისა (მეოთხისა), აგრეთვე ანდრონიკაშვილების წინაპარის მოსვლისა, რომელსაც, როგორც მეფის ნათესავს, გამოდევნილს სამშობლოდგან, მიეცა მამული კახეთში, იქ, საცა მისნი შთამომავალნი ცხოვრობენ დღესაც. თვით ანდრონიკეს მოსვლას კი საქართველოში ბროსე დასდებს 1167 წელს.

3. 24 სეკდ. 1180 წელს გარდაიცვალა იმპერატორი მანუელ. მისმა სიკვდილმა გამოიწვია არეულობა, ღელვა, შიშიანობა. ანდრონიკე მცირე აზიიდგან კონსტანტინეპოლს მივიდა. იმპერატორად გამოაცხადეს. გახელმწიფდა-რა, სიცოცხლე მოუსპო დაქვრივებულს დედოფალს მარიამს, მისი მცირე წლოვანი შვილი ალექსი შურდულის საბლით დაახრჩო. ღელვა, შფოთმა იმატა, ბრბომ დაიჭირა ანდრონიკე, კბილები და თმა დააგლიჯა, ერთი თვალი გამოსთხარა, ერთი ხელი მოჰკვეთა, შესვა აქლემზე და გაატარ-გამოატარა კონსტანტინეპოლის ქუჩებში, მერმე ჩამოჰკიდა შორის ორის ხისა, რომელთაგან ერთზე ეკიდა გამოსახულობა მგლისა და მეორეზედ — ღორისა.*)

გახელმწიფდა ისაკ ანგელოსი (1185—1195), კაცი უნიჭო, მშიშარა, გარყვნილი, უსაზღვროდ ფულის მფლანგავი ზნედაცემულ მეგობრებთან, გარყვნილ ქალებთან, თვალთმაქცებთან. ერი წუალდებოდა მძიმე ხარკებისაგან. ბულგარნი და ვლახელნი განდგენ იმპერიისაგან და დაიარსეს თავისი ბულგარ-ვლახეთის სამეფო. 1195 წ. ისაკ ანგელოსი შეიპყრა მისმა ძმამ ალექსიმ, თვალი დასთხარა, საპყრობილეში ჩააგდო და თვითონ გახელმწიფდა. ჯვაროსანი ლაშქარი იკრიბებოდა

*) ანდრონიკე ფრიად გარყვნილი კაცი იყო, მოღალატე სამეფო სახლისა, სარწმუნოებისა, სვინიდისისა. იყო კაცი დაუდგრომელი. კიევის, კვიპროსის, იერუსალიმის, ნურედდინ სულთანის, სპარსეთის და საქართველოს გზა-კვალი გათელა, რომ როგორმე გაიმპერატორებულიყო.

და ვენეციიდგან კოსტანტინეპოლზე გავლას აპირობდა. აღმოსავლეთიც ღელავდა. მცირე აზიის ოსმალნი ესეოდნენ ბერძნებს. თამარ მეფეც გულნაკლული იყო ძმის მკვლელ ალექსისაგან, რომელმაც გაცარცვა ქართველი ბერები. ქართველი ლაშქარი შეესია პონტოს, დაიჭირა ტრაპეზუნტი, ლიმნია, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ირაკლია, ადგილნი ფებლაღონიისა და პონტოსანი და მისცა (1204 წ.) ალექსი კომონიანოსს, რომელიც კოსტანტინეპოლში დამყარებულ შიშიანობის დროს სხვა კომონიანებთან ერთად გამოქცეულიყო საქართველოს. ასრე დაარსდა აგრედ-წოდებული ტრაპეზუნტის იმპერია. და ამ ქართულ მატიანის ცნობას არ ეწინააღმდეგება თანამედროვე მიხეილ ხონიატიც. იგი სწერს: „თამარმა თავის ძმისწულს (ნათესავს!) მისცა სახსარი დაეპყრა (1204 წ.) ივერთა ლაშქრით ტრაპეზუნტი, ლიმნია და გემებით—კერასუნდი, ინოე, სინოპი, კედროსი, ამსუსტრისი და მთელი პონტო, გარდა სამსუნისა.“

მიხეილ ხონიატი ამ ალექსის იხსენიებს ძმისწულად თამარისა და მიხეილ პანარეტი კი თამარს სთვლის მის მამიდად.

ამ „მამიდად“ შეიძლება ყოფილიყო თამარ მეფე, თუ მართლა ბიძა მისი დავით IV შეუღლებულიყო თამარ ანდრონიკეს ასულთან, და კიდევ მის გამოც, რომ ბაგრატიონნი საზოგადოდ მონათესაობდენ ბიზანტიის ხელმწიფეებს (ბაგრატ IV (+1072 წ.) ცოლად ჰყვანდა ბერძენთ ბატონიშვილი; მისი ასული მარიამი ცოლი იყო იმპერატორის მიხეილისა (+1078 წ.), რომელმაც კავშირის გასამტკიცებლად კომონიანოსებთან, ისააკ კომონიანოსს მიათხოვა ირინე, ბიძაშვილი თავის მეუღლის მარიამისა, რომელსაც ეშვილობილა ალექსი I კომონიანოსი (1080—1118); ეკატერინე, ასული დავით აღმაშენებლისა, ცოლად ჰყვანდა ანნა კომონიანოსის შვილს). გარნა, თუგინდ ხონიატსა და პანარეტს „მამიდად“ მიაჩნდეთ თამარ ანდრონიკეს ასული, ეს მაინც ვერ იქნებოდა იმის დასამტკიცებელი საბუთი, რომ სწორედ თამარ ანდრონიკეს ასული იყო თამარ მეფე: **1204** წელს თამარ ანდრონიკეს ასული შეიძლე-

ბა ყოფილიყო თამარ მეფის კარს იმ შემთხვევაშიაც, თუ იგი მართლაც იყო დაქვრივებული მეუღლე დავითისა (IV-ისა) და იმ შემთხვევაშიაც, თუ სხვა კომნიანოსებთან ერთად გამოიქცა საქართველოში შემდეგ მის მამის ჩამოხჩობისა. ორივე შემთხვევაში იგი, საქართველოში მყოფობისას, უნდა ცდილიყო მოემზადებინა ნიადაგი, რათა დაებრუნებინა ტახტი კანონიერ მემკვიდრის ალექსი კომნიანოსისთვის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

მ. ჯანაშვილი.

947.922(093)
Б 202